[stamp:] ...ბიბლიოთეკა... თბილისი
5215

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
11 ივნისი
1941 წ.
№ 135 (6140)
ფასი 15 კაპ.

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ გეგმიანი, რიტმიული მუშაობისათვის

სოციალისტური ქვეყნის საწარმოებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ გეგმიანად, ორგანიზებულად, რიტმიულად და არა მარტო შეასრულონ წლიური, კვარტალური, თვიური საწარმოო დავალებანი, არამედ ყოველდღიურად მისცენ ჩვენს დიად სამშობლოს უხვი და მაღალი ხარისხის პროდუქცია.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა მაქსიმალურად იზრუნონ მრეწველობისა და ტრანსპორტის საჭიროებისათვის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროდუქციის გამოშვების წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მტკიცედ დაცვას.

ამხ. გ. მალენკოვმა აღნიშნა, რომ „საჭიროა **ბოლო მოვუღოთ უგეგმობას, პროდუქციის არათანაბარ გამოშვებას**, იერიშობანას საწარმოთა მუშაობაში და მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, რკინიგზა ყოველდღიურად, წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ასრულებდეს საწარმოო პროგრამას".

ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრი ფაბრიკა, ქარხანა უკვე მუშაობს რიტმიულად, მტკიცედ იცავს გრაფიკს, ასრულებს საწარმოო დავალებებს, უშვებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ანხორციელებენ კონტროლს სამეურნეო საქმიანობაზე. თბილისის ტრიკოტაჟკომბინატმა პირველი კვარტალის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა. კომბინატს მ. წ. 4 თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად 384,4 ათასი მანეთის ეკონომია აქვს. პარტიულმა ორგანიზაციამ საქმიანი დახმარება გაუწია ადმინისტრაციას ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორიც არის ნედლეულის, სათბობის და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა, გრაფიკის დამკვიდრება, ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და შრომის დისციპლინის განმტკიცება. პარტორგანიზაციამ მარტში ჩაატარა პარტიულ-ტექნიკური კონფერენცია და განახორციელა სერიოზული ღონისძიებანი ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვისათვის.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ თვალსაჩინო მუშაობა გასწია იერიშობანის, პროდუქციის არათანაბარზომიერად, კვეთებით ვამოშვების აღმოსაფხვრელად. პარტიული ბიურო როგორც თავის სხდომებზე, ისე პარტორგანიზაციის კრებებზე სისტემატურად მსჯელობდა გრაფიკის გარშემო, სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს და იბრძოდა ამ ღონისძიებათა სათანადოდ განხორციელებისათვის. ამის შედეგად ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა 104,8 პროცენტით შეასრულა, ასეთივე წარმატებები მოიპოვა აპრილსა და მაისში. ქარხანაში დაზგაზე მომუშავე ყველა კომუნისტი სტახანოველია.

სამეურნეო საქმიანობაზე პარტიულ კონტროლს კარგად ანხორციელებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. პარტიული ბიურო ხშირად მსჯელობს წარმოების ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სტახანოვური მოძრაობა, გრაფიკი, ტექნოლოგიური დისციპლინა, პროდუქციის ხარისხი, საწარმოო მოწყობილობა და სხვ. აპრილში პარტბიურომ განიხილა მოლიბდენის საამქროს მუშაობის საკითხი, მიღებული დადგენილების განხორციელებამ უზრუნველჰყო ნედლეულისა და ლითონების დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება, გაუმჯობესდა დნობისა და გამოწვის ტექნოლოგიური პროცესი.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება თბილისის მაუდის ფაბრიკის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის და სხვა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობიდან.

არის იმის მაგალითები, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ღრმად ვერ ჩასწვდა წარმოების ეკონომიკას, საკმაოდ ვერ იბრძვის XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის. ზოგიერთ საწარმოში ირღვევა გრაფიკი, არ სრულდება გეგმა, ცუდია პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკა, რომელმაც მ. წ. პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 82,2 პროცენტით შეასრულა, ვერ იცავს პროდუქციის ხარისხს, ვერ მუშაობს გრაფიკის მიხედვით, პარტორგანიზაციას კი ამ საკითხების გარშემო არ უმსჯელნია.

გრაფიკი ირღვევა თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკაშიც, რაც იწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ამ ფაბრიკის ჩულქების საამქროს 1941 წლის 4 თვეში უნდა გამოეშვა 60,4 პროცენტი პირველი ხარისხის ჩულქი. ფაქტიურად გამოუშვა 51,6 პროცენტი. საამქრომ გამოუშვა აგრეთვე 11 პროცენტი უხარისხო პროდუქცია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა იზრუნონ მრეწველობის საჭიროებისათვის, თავიანთი მსჯელობის საგნად გახადონ გრაფიკის დამკვიდრების, საწარმოო მოწყობილობისა და ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობათა დაცვის, ნედლეულისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და მრავალი სხვა საწარმოო საკითხები. მათ უნდა შესძლონ ყოველი ცალკე შემთხვევის სწორი ანალიზის გაკეთება, იმ მთავარი რგოლის გამონახვა, რაც უზრუნველჰყოფს გეგმის შესრულებაში ჩამორჩენის გამოსწორებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გრაფიკი წარმოებს ურყევი კანონია. ეს კანონი საუკეთესო საშუალებაა გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

მაგრამ ამოცანა მარტო იმით როდი ამოიწურება, რომ პარტორგანიზაციამ თავის კრებაზე განიხილოს გრაფიკის დაცვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და სხვა საწარმოო საკითხები, დასახოს ღონისძიებანი. არა. დადგენილებას, რარიგ კარგადაც უნდა იყოს ის დაწერილი, ფასი არა აქვს, თუ მას ცხოვრებაში არ განვახორციელებთ. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებდნენ დადგენილების შესრულებას, გამუდმებით მუშაობდნენ დასახულ ღონისძიებათა გასატარებლად.

პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, რომელთა შემადგენლობაშიც არჩეული არიან ინიციატივიანი, ენერგიული და მტკიცე ბოლშევიკები, დაუღალავად უნდა იბრძოლონ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა მტკიცედ განხორციელებისათვის, ფართოდ დარაზმონ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის საწარმოო გეგმების სახელოვნად შესრულებისათვის.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისრად ამხ. დ. თ. უსტინოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. დიმიტრი თევდორეს-ძე **უსტინოვი** სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1941 წ. 9 ივნისი.

რწმუნების სიგელის გადაცემა სლოვაკიის დესპან ბ-ნ ი. შიმკოს მიერ

9 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო სლოვაკიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ი. შიმკო, რომელმაც მას თავისი რწმუნების სიგელი გადასცა.

ჩაის ალება დაიწყო

თელავი (ტელეგრაფით). მტის კომბაინები 10 ივნისს გავიდნენ ჩაის ალებაზე. ჩაის ალება დაიწყო სოფ. გულგულის სტალინის სახელობის, სოფ. შალაურის კიროვის სახელობის, სოფ. წინანდლის სტახანოვის სახელობის და სოფ. სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებში.

მ. ალხაზაშვილი
თელავის რაიმიწგანის აგრონომი

პირველი განაღლი სახელმწიფოს ჩაბარეს

ყვარელი („კომუნისტის" კორ.). სოფ. ქუტქნის კოლმეურნეობა „განათლებამ" სახელმწიფოს ჩააბარა პირველი განაღლეში ქერი ორი ტონის რაოდენობით.

თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად-საკავშირო კონფერენცია

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1941 წლის 15 ივნისს მოიწვიოს მოსკოვში თავდაცვა-ავიაქიმის პირველი სრულიად-საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციაზე განხილული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების უახლოესი პერიოდის მორიგი ამოცანები, სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის წესდება და ორგანიზაციული საკითხები (საკდესი).

მატარებელთა მოძრაობის საზაფხულო გრაფიკი

10 ივნისიდან საბჭოთა კავშირის მთელ რკინიგზის ტრანსპორტზე შემოღებულია მატარებელთა მოძრაობის საზაფხულო გრაფიკი.

ახალი გრაფიკი მკვეთრად განსხვავდება 1940 წლის ზაფხულის გრაფიკისაგან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის განრიგი.

მატარებელთა მოძრაობის საზაფხულო გრაფიკით გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მოძრავი შემადგენლობის უკეთ გამოყენებას და ტვირთის უფრო სწრაფად გადაზიდვას.

9 ივნისი (საკდესი).

ძველი ქალაქი მინისქვეშ

აკერმანში (მოლდავეთის სს რესპუბლიკა) დღემდე დაცული ძველი ციხის მახლობლად მდებარე მოედანზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრა. ეს არის ძველი ქალაქის—ახლანდელი აკერმანის წინაპრის ნავარაუდევი მდებარეობა.

გათხრამ უკვე საინტერესო შედეგები მოგვცა. 6 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილია ქუჩის ნაწილი წყალსადენი არხითურთ. დაახლოებით ორი მეტრი სიგანის მქონე ქუჩაზე მოყრილია ღორღის მჭიდროდ დატკეპნილი ნახევარმეტრიანი ფენა. მატერიალური კულტურის სხვადასხვა საგნების მიხედვით ქუჩის ეს ნაწილი გაკეთებულია III—II საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

დიდ სიღრმეზე აღმოჩენილია ნაყოფიერების ძველი ბერძნული ქალ-ღმერთის კიბელის მარმარილოს სტატუეტი, კერამიკული ნაწარმი, ჭურჭელი, მარმარილოს სვეტებისა და ლავგარდანის ნამტვრევები. ზოგიერთი შენობის კედლები ამოყვანილია ცალობრივი, კარგად გათლილი ქვისაგან, ამ კედლების სისქე ერთ მეტრს აღწევს. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები სამუშაოდ მიდიან

დამთავრდა იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილება, რომლებსაც წელს სსრ კავშირის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები გამოუშვებენ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 8 ათასზე მეტ მაღალი კვალიფიკაციის მუშაკს — სხვადასხვა სპეციალობის აგრონომებს, ინჟინერ-მექანიზატორებს, ვეტერინარ ექიმებს, სატყეო მეურნეობისა და სუბტროპიკული კულტურების სპეციალისტებს.

უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი შუა აზიის რესპუბლიკებში, ყაზახეთში, ნოვოსიბირსკის, ომსკის და ჩელიაბინსკის ოლქებში, კრასნოიარსკისა და ალტაის მხარეებში მიემგზავრებიან. ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტი უკვე მივიდა დანიშნულების ადგილზე. ისინი უშუალოდ მუშაობენ წარმოებაში — მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებში, სარემონტო ქარხნებში, კოლმეურნეობებში.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (ბალტიისპირა რესპუბლიკების ჩაუთვლელად) 88 სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 42 ათასი სტუდენტი სწავლობს. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისა და იქ მოსწავლე სტუდენტების რაოდენობა 11-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ უმაღლესმა სასწავლებლებმა 101 ათასი სპეციალისტი მოამზადეს.

9 ივნისი (საკდესი).

სატვირთო ველოსიპედები

ხარკოვის ველოქარხანაში დამზადებულია სამთვლიანი სატვირთო ველოსიპედის პირველი 2 საცდელი ნიმუში. ველოსიპედი ნავარაუდევია დაახლოებით 60 კილოგრამი ტვირთისათვის. წინ ორ თვალს შორის რესორებზე დამონტაჟებულია ძარა, უკანა თვალი ჩვეულებრივია. საბჭოთა კავშირში ასეთი ველომანქანები ჯერ არ გამოუშვიათ.

დღემდე უკრაინში ქალის ველოსიპედებს არ ამზადებდნენ, მათი სერიული გამოშვება წელს იწყება. (საკდესი).

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ბ. ლ. **ვანნიკოვი** შეიარაღების სახალხო კომისრის თანამდებობიდან გაათავისუფლა, რადგან იგი ვერ გაუძლვა სახალხო კომისრის მოვალეობას. (საკდესი).

უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია

ლვოვი, 9 ივნისი (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია. სესია 5 დღეს გაგრძელდა. მოსმენილ იქნა 32 მოხსენება უკრაინის ეკონომიკის, ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე.

ლვოველი ეკონომისტების ამხ. ფრიდმანის, გრაბარისა და ოლხოვსკის მოხსენებებში ძირითადი ყურადღება მიექცა ნავთის მრეწველობის, მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის მდგომარეობას უკრაინის დასავლეთ ოლქებში, დასახულ იქნა სახალხო მეურნეობის ამ დარგების განვითარების გზები.

სესიამ დიდი ყურადღება მიაქცია ცნობილ უკრაინელ მწერალს ივანე ფრანკოს. დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ სიმოვიჩის მოხსენებამ „ფრანკო და ენათმეცნიერება", ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის რომანჩენკოს მოხსენებამ „ფრანკო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა".

სოციალისტური შრომის გმირის ვ. გ. გრაბინის წიგნი მანქანების ჩქარი დაპროექტების შესახებ

ლენინგრადი, 9 ივნისი (საკდესი). გამოვიდა სტალინის პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. გ. გრაბინის წიგნი „მანქანების ჩქარი დაპროექტება და ათვისება".

თავის ნაშრომში ავტორი გვიზიარებს ჩქარი დაპროექტების გამოცდილებას. იგი სწერს, რომ შეთანხმებულად უნდა სწარმოებდეს კონსტრუქტორების, ტექნოლოგების, მეინსტრუმენტეებისა და საწარმოო მუშაკების მუშაობა, პარალელურად უნდა გატარდეს მანქანებისა და ინსტრუმენტარიუმის დაპროექტება და ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ცალკეული დეტალებისა და კვანძების და მთელი მექანიზმების უნიფიკაცია, მექანიზმთა ჯგუფების უნიფიკაციაც კი.

ამხ. გრაბინი განსაკუთრებულ თავს მიუძღვნის ეკონომიკის საკითხებს ჩქარ დაპროექტებასთან დაკავშირებით. მას მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩქარი მეთოდით ათვისებული მანქანები გაცილებით უფრო იაფია.

წიგნი ილუსტრირებულია სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით და შეიცავს ავტორის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციას სამუშაო ნახაზების კონსტრუქციებისა და საცდელი ნიმუშების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

კუტუზოვის გამოუქვეყნებელი წერილები

1812 წლის სამამულო ომის დღეებში გენიალურ მხედართმთავარს ფელდმარშალ მ. ი. კუტუზოვს ვრცელი პირადი მიწერ-მოწერა ჰქონდა. მაგრამ დღემდე კუტუზოვის დიდძალი წერილები, სამწუხაროდ, აღმოჩენილი არ არის.

ამას წინათ მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურმა არქივმა აღმოაჩინა ფელდმარშლის დღემდე გამოუქვეყნებელი იმ 50 წერილის ასლები, რომლებიც მას ეგრეთწოდებული მოლდავეთის არმიის სარდლის — ადმირალ პ. ვ. ჩიჩაგოვისათვის მიუწერია. წერილები ეკუთვნის 1812 წლის აგვისტოს — 1813 წლის დამდეგის პერიოდს.

ეს ნაპოვნი მით უფრო მეტ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს, რომ კუტუზოვი თითქმის ყოველ წერილში დაწვრილებით აღწერს რუსეთისა და საფრანგეთის არმიებს შორის წარმოებული ბრძოლის მიმდინარეობას და იძლევა რუსი ხალხის დიდი პატრიოტული მოძრაობის შეფასებას. „ჩვენი პარტიზანების წარმატებანი, — სწერს ფელდმარშალი ჩიჩაგოვს 1812 წლის 2 ოქტომბერს (ძველი სტილით), — ყოველ წუთს სულ უფროდაუფრო ბრწყინვალე ხდება... აგრეთვე ჩემთვის არანაკლებ სასიამოვნოა დავადასტურო გმირობა ჩვენი გლეხებისა, რომლებსაც თავი ისე უჭირავთ, როგორც სამშობლოს ნამდვილ შვილებს, და, მტრის ყოველგვარი ოინების მიუხედავად, ამარცხებენ მას ყოველი შეხვედრის დროს".

ბევრი წერილი მიძღვნილია საფრანგეთის არმიის განადგურებისა და რუსეთიდან მისი უწესრიგოდ უკან დახევისადმი. 1812 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული, ელნიდან გაგზავნილი წერილით კუტუზოვი იტყობინება: „27 რიცხვს ყაზახები დაეწივნენ გაქცეულ მტერს დუხოვოს გზაზე, დაამარცხეს მისი მე-4 კორპუსი და ტყვედ ჩაიგდეს გენერალი სანსონი და 3.500 ჯარისკაცი... მტერი ძალიან უწესრიგოდ გარბის". რუსეთის ტერიტორიაზე შემოჭრილ ინტერვენტთა სასტიკ დამარცხებას მოწმობს 3 ნოემბრის მეორე წერილიც. „ბრძოლაში მტრის ზარალი მეტისმეტად დიდია. მან, 6 ოქტომბრიდან დაწყებული, მთავარი არმიის წინააღმდეგ წარმოებულ სხვადასხვა ბრძოლაში, გენერალ ვიტგენშტეინის მიერ ტყვედ წამოყვანილთა გარდა, დაჰკარგა 234 ზარბაზანი... მტრის ზარალი მოკლულთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით მეტად მნიშვნელოვანია".

9 ივნისი (საკდესი).

600 კილომეტრი პლანერით
სერგეი ანოხინის შესანიშნავი გადაფრენა

7 ივნისს დილიდანვე ცა მოღრუბლული იყო. უმოტორო ფრენის ოსტატებისათვის კარგი საფრენოსნო დღე დადგა. საბჭოთა პლანერიზმის ოსტატმა სერგეი ანოხინმა გადასწყვიტა ერთადგილიანი პლანერით „როტ-ფრონტ — 7"-ით შორეული მაღლა ფრენა მოეწყო.

9 საათსა და 58 წუთზე სტარტიორმა ბაირაღი აღმართა. თვითმფრინავი, რომელსაც სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მფრინავ-ინსტრუქტორი ამხ. ნავარო მართავდა, სწრაფად შეცურდა ჰაერში. მას მიჰყავდა გრძელი გვარლით მიბმული პლანერი „როტ-ფრონტ — 7", რომელსაც ამხ. ანოხინი მართავდა.

8 წუთის შემდეგ ეს „საჰაერო მატარებელი" უკვე 1.200 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა. 10 საათსა და 07 წუთზე ამხ. ანოხინმა მბუქსირებელ თვითმფრინავს მოხსნა თავისი პლანერი. პლანერისტმა აღმავალი თერმული ნაკადებით ისარგებლა და აეროდრომს გადაუარა, შემდეგ ნახევარსპირალი გააკეთა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდა...

პირქარი ხელს უწყობდა გაფრენას. აღმავალი საჰაერო ნაკადები პლანერს მაღლა, ღრუბლებისაკენ მიაქანებდნენ. ანოხინს ოსტატური მანევრირებით მტკიცედ მიჰყავდა თავისი უმოტორო საფრენოსნო აპარატი.

8 ივნისს სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აერო-კლუბში მიღებულია ცნობა, რომ პლანერი „როტ-ფრონტი — 7", რომელსაც ამხ. ს. ანოხინი მართავს, ქალაქ ბალაშოვის (სარატოვის ოლქი) ჩრდილოეთ-დასავლეთით დაეშვა 16 კილომეტრზე. ამგვარად, წინასწარი ცნობების თანახმად, ამხ. ანოხინმა პირდაპირი ხაზით დაახლოებით 600 კილომეტრი გაიარა და ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი მაღალი საფრენოსნო ოსტატობა.

სერგეი ანოხინი საბჭოთა პლანერიზმის ერთერთი პიონერთაგანია. (საკდესი).

ახალგაზრდა მუშები საწარმოებში მოვიდნენ
სწავლის მოწინავენი პირველი დღიდანვე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს

1 ივნისს დაიწყო საწარმოებში იმ ახალგაზრდა მუშების გაგზავნა, რომლებმაც 6-თვიანი სწავლების კურსი დაამთავრეს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 1.535 ახალგაზრდამ დაამთავრა. ისინი ქვანახშირის, სამთო-მადნო მრეწველობის, მშენებლების, მელითონეების და სხვ. პროფესიებს დაეუფლნენ. მათ შორის 440 ახლგაზრდამ ქების სიგელი მიიღო, პროფესიის წარმატებით დაუფლებისა და სასწავლო-საწარმოო მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

„საქნავთის" ტრესტის საწარმოები ჩინებულად მოემზადნენ ახალი მუშების მიღებისათვის. სკოლებში მივიდნენ ტრესტის ავტომანქანები, რომლებმაც სამუშაო ადგილზე, სარეწაოებსა და ნავთის საძიებლებში მიიყვანეს ახალგაზრდა მუშები—კალატოზები, ელექტროშემდუღებლები, მღებავები. ნავთის მრეწველობის საწარმოებში გაგზავნილ ყველა მუშისათვის მზად იყო საერთო საცხოვრებლები.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში და სხვა საწარმოებში უკვე შეუდგნენ მუშაობას საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებიდან მისული ახალგაზრდები. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ელექტროშემდუღებლებად, ვაგონების ზეინკლებად გაგზავნილია 90 ახალგაზრდა მუშა. მათ შორის არიან სწავლების ფრიადოსნები — თედო პაპუნიდი, ვახტანგ თუშიშვილი და სხვ.

3 ივნისს, მუშაობის პირველ დღეს, ვ. თუშიშვილს (შემდუღებელი საამქრო) მიეცა დავალება, რისთვისაც ნორმით გათვალისწინებულია 11 საათი და 35 წუთი. ეს დავალება ვ. თუშიშვილმა 8 საათის განმავლობაში შეასრულა და ნორმა 144 პროცენტით გაანაღდა.

3 ივნისს თ. პაპუნიდი სამონტაჟო საამქროში მუშაობდა. ცვლის დავალება სახარატო დაზგის შესაკეთებლად მან 150 პროცენტით შეასრულა.

მუშაობის პირველ დღეს ბევრმა ახალგაზრდა მუშამ ნორმა გადაჭარბებით შეასრულა.

○

5 ივნისს დაიწყო ახალგაზრდების ახალი გაწვევა (მობილიზაცია) საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, რომლებშიც სწავლების 6-თვიანი კურსია.

საქართველოს სს რესპუბლიკის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების 9 სკოლაში მიღებული იქნება 2.100 კაცი. გაწვევა 20 ივნისამდე გასტანს. (საკდესი).

ყოველდღე იზრდება ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, 9 ივნისს საღამოსათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერის თანხა 187.480 ათას მანეთს შეადგენდა. აქედან ქალაქად—150.926 ათას მანეთს, სოფლად—36.554 ათას მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის მთელს რესპუბლიკაში სესხზე ხელი მოწერილი იყო 159.738 ათასი მანეთის რაოდენობით.

მთელს რესპუბლიკაში სოფლად ხელმოწერილი თანხიდან 2.495 ათასი მანეთი უკვე განაღდებულია.

10 ივნისს ღამის 11 საათისათვის, ქ. თბილისში 199.032 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 62.589.435 მანეთის სესხზე. ბერიას რაიონში ხელმოწერის თანხა 16.222.785 მანეთს შეადგენდა, სტალინის რაიონში—10.746.715 მანეთს, 26 კომისრის რაიონში — 10.029.435 მანეთს, კიროვის რაიონში—6.684.530 მანეთს, ლენინის რაიონში — 6.560.420 მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში—6.309.325 მანეთს, მოლოტოვის რაიონში—6.036.225 მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის თბილისში სესხზე ხელმოწერის თანხა 56.072 ათას მანეთს შეადგენდა.

ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

რ ა ი ო ნ ე ბ შ ი

პირველი მაისის სასოფლო საბჭოს (ცხაკაიას რაიონი) მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს სესხზე ხელის მოწერა. ხელმოწერილი თანხის რაოდენობა 27.545 მანეთს შეადგენს.

○

სოფ. ზეგარდის (გორის რაიონი) კოლმეურნეებმა დაამთავრეს სესხზე ხელის მოწერა. ხელმოწერილი თანხის რაოდენობამ 3.550 მანეთს მიაღწია.

○

სოფ. შრომის (მახარაძის რაიონი) ჩაის ფაბრიკაში პირველ ოთხ დღეს სესხზე ხელი მოაწერეს 24.055 მანეთის რაოდენობით.

○

სოფ. სვერის (ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას. 80 წლის მოხუცმა სილიონ ცუცქირიძემ 200 მანეთი მისცა სახელმწიფოს სესხად. მას ბევრმა სხვამ მიჰბაძა. უკვე 289 კაცმა ხელი მოაწერა 35.500 მანეთის სესხზე.

ხელმოწერა გრძელდება.

○

სიღნაღის რაიონში 9 ივნისისათვის 14.705 კაცს ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 1.906.000 მანეთის რაოდენობით. აქედან 121 ათასი მანეთი უკვე განაღდებულია კოლმეურნეთა მიერ. დიდი წარმატებით გავრცელდა ახალი სესხი ქვემო-მაჩხაანის სოფლსაბჭოში. აქ სესხზე ხელმოწერის თანხამ დიდად გადააჭარბა გასული წლისას. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 7.600 მანეთი ხელისმოწერისთანავე შეიტანეს. ასევე მოიქცნენ სატრანსპორტო არტელის წევრები, რომელთაც ნაღდად შეიტანეს 5.200 მანეთი.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ნუკრიანში, ჯუგაანში, ბოდბისხევში, დაბა წნორისა და სიღნაღში.

კოლმეურნეები სესხზე ხელმოწერის თანხას ნაღდ ფულად იხდიან

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობების თანახმად, 8 ივნისისათვის სოფლის მოსახლეობისაგან სესხზე ხელმოწერის ანგარიში ნაღდ ფულად შემოვიდა 174.619 ათასი მანეთი. ეს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა ხელმოწერის თანხის 9,5 პროცენტს შეადგენს. ყველაზე აქტიურად და ორგანიზებულად იხდიან ხელმოწერის თანხას ტამბოვის, კურსკის, კამენეც-პოდოლსკის, კიევის, კიროვოგრადის, ხარკოვის, ოდესის, ბუხარის ოლქებისა და მარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეები. ტამბოვის ოლქში სოფლად ხელმოწერის საერთო თანხიდან — 14.562 ათასი მანეთიდან უკვე შემოვიდა 7.751 ათასი მანეთი — 53,2 პროცენტი, ხარკოვის ოლქში — 35,2 პროცენტი, მარის ასს რესპუბლიკაში — 28,9 პროცენტი, ბუხარის ოლქში — 24,2 პროცენტი და ა. შ.

ბევრ რაიონსა, სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობაში კოლმეურნეებმა მთლიანად გადაიხადეს თავიანთი ხელმოწერის თანხა. ბუხარის ოლქის დეხკანაბადის რაიონის, ოდესის ოლქის ოქტომბრის რაიონის, ადიღეს ავტონომიური ოლქის ტევუჩეჟის რაიონის, გორკის ოლქის კურმიშის რაიონის, ტამბოვის ოლქის გლაზკოვისა და ბონდარსკის რაიონების კოლმეურნეებმა ხელმოწერის თანხა მთლიანად გადაიხადეს.

9 ივნისი (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე
საქართველოს სსრ პავილიონში

მოსკოვი (საკ. კორ.) 7 ივნისს დილით საქართველოს პავილიონი ინახულა ექსკურსანტთა ჯგუფმა ზუგდიდის რაიონიდან პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. ჩაჩიბაიას მეთაურობით. პავილიონში მუშაკები გულთბილად მიესალმნენ ამხ. ჩაჩიბაიას, ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდსმენს ქიონია სარსანიას და სხვ. საქართველოს პავილიონის დათვალიერების შემდეგ ზუგდიდელების ჯგუფი, პავილიონის დირექტორის ამხ. დოლონაძის და მთავარი მეთოდისტის ამხ. კეშელავას თანხლებით, გაემართა ბალტიისპირის რესპუბლიკების პავილიონის დასათვალიერებლად.

ჯუშინვე ამხ. სარსანია გამოვიდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის რადიოკვანძის მიკროფონთან. მან ილაპარაკა თავის 28 მაისის რეკორდზე და განაცხადა, რომ მიღწეული რეკორდი — 806 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რამაც ნორმის 5.037 პროცენტი შეადგინა, — მას ზღვარულად არ მიაჩნია. ამხ. სარსანიამ აგრეთვე განაცხადა, რომ წელს მასზე მიმაგრებულ 0,8 ჰექტარ ნაკვეთზე ის სულ მცირე 14.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს აიღებს.

საღამოს საქართველოს პავილიონში მეთამბაქოობის სტენდთან ერთმანეთს შეხვდნენ გამოფენის მონაწილენი — აფხაზეთის და სომხეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულნი. აფხაზეთის ბერიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ჰოჭუამ გააცნო სომეხ ამხანაგებს აფხაზეთის აწმყო და წარსული, მისი ეკონომიკა და გეოგრაფია. თამბაქოს ასანესმავი მანქანის გამომგონებელმა ამხ. კვირკველიამ ილაპარაკა ამ მანქანის კონსტრუქციაზე, მის მნიშვნელობაზე მეთამბაქოობის მეურნეობაში. გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გვასალიამ გაუზიარა შეხვედრის მონაწილეთ კოლმეურნეობის გამოცდილება თამბაქოს კულტურის აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარგში, აგრეთვე მაღალხარისხოვანი ჩითილის გამოყვანის მეთოდის ხაზით. სომხეთის კოლმეურნეთა ჯგუფის სახელით გამოვიდნენ კოლმეურნეობა „წითელარმიელის" ბრიგადირი ხაჩატურიანი და ვაჰარშაპატის რაიონის აგროტექნიკოსი პოხატჩიანი. მათ უამბეს დამსწრეთ ამ რაიონისათვის ახალი კულტურის—გერანის განვითარებაზე. ამ კულტურამ უკანასკნელ 4 წელიწადში დიდ წარმატებებს მიაღწია.

ეს შეხვედრა პირველი ღონისძიება როდია მასობრივ მუშაობაში, რომელსაც საქართველოს სსრ პავილიონი ატარებს.

○

მოსკოვი, (საკ. კორ.). 9 ივნისს საქართველოს სსრ პავილიონში ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტენდის წინ აკად. ნ. ნ. კეცხოველმა ჩაატარა საუბარი, მიძღვნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისადმი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე. აკად. კეცხოველს უსმენდა პავილიონის დამთვალიერებელთა დიდი ჯგუფი, მათ შორის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი დასავლეთ ბელორუსიიდან. სტენდთან შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საუბარი საქართველოში სოფლის მეურნეობის ახალი დარგების განვითარების შესახებ, ბერიას სახელობის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის მიერ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების შესახებ, ინსტიტუტის კვლევითი მუშაობის შესახებ, გამომგონებელთა მუშაობის შესახებ. მსმენელებს გააცნეს პროფ. დიდებულიძის გამოგონებული შორჰვალიანი მომწამვლელი, ოსეფაშვილისა და ლეჟავას ტუნგოს საწმენდი მანქანა, დოცენტ თედორაძის თეფშებიანი კულტივატორი. მსმენელებმა მრავალი შეკითხვა მისცეს აკად. კეცხოველს და მხურვალე მადლობა გადაუხადეს საინტერესო საუბრისათვის.

ვ. ყარა-მურზა

ვადამდე და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ ნახევარი წლის გეგმა

ფეროშენადნობთა ქარხანამ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ზესტაფონი (ტელეგრაფით). აღებული ვალდებულება ნახევარი წლის გეგმის ვადამდე—12 ივნისისათვის შესრულების შესახებ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ უფრო ადრე გაანაღდა. ელექტროშენადნობთა გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულ იქნა 9 ივნისისათვის.

ი. კაკალიძე
ქარხნის დირექტორი.

კალინინის სახელობის ქარხანამ 6 თვის გეგმა ვადამდე შეასრულა

თბილისის კალინინის სახელობის ქარხანამ 1941 წლის ორი კვარტალის გეგმა 7 ივნისისათვის შეასრულა.

ქარხანამ გამოუშვა 2.110 ათასი მანეთის დაზგათა ნაწილები და სხვა სახის ფართო მოხმარების საგნები. ნახევარი წლის გეგმა 100,1 პროც. შესრულდა.

მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ორდენოსანმა ზეინკალმა ბ. ძამაშვილმა. იმავე რიცხვისათვის მან ორი კვარტალის გეგმა 240 პროც. შეასრულა. (საქდესი).

ვბურღოთ სწრაფად და იაფად, ამოვიღოთ მეტი ნავთი

შირაქის ნავთის სარეწაოებზე

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შირაქის ნავთის სარეწაოები ტრესტ „საქნავთის“ სისტემაში ყველაზე მოწინავენი არიან. მათ ბაზაზე შექმნილია ცალკე სამმართველო. ამ სარეწაოების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი კოლექტივი დაუცხრომლად იბრძვის, რათა ბოლშევიკურად გაანაღდოს პარტიისა და მთავრობის დავალება ბურღვისა და ნავთის ამოღების დარგში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

შესანიშნავი მიღწევები აქვს მირზაანის ბურღვის კანტორას (უფროსი ამხ. ფ. საპოჟნიკოვი). 1940 წლის გეგმა მან 147,8 პროცენტით შეასრულა და საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო 1941 წლის I კვარტალისა — 115,2 პროცენტით. იგი დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას. მიუხედავად გეგმის საგრძნობლად გადიდებისა, კანტორამ აპრილის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაისისა 119,5 პროცენტით. ამასთან მოჰყვა თვითღირებულების მკვეთრი შემცირება: პირველ კვარტალში — 14,5 პროცენტით, აპრილში — 10,5 პროცენტით, ხოლო მაისში კიდევ მეტად.

თვალსაჩინო მიღწევებია აგრეთვე ჭაბურღილების დამთავრებასა და მათ საექსპლოატაციოდ გადაცემაში. 1941 წლის იანვრიდან 1 მაისამდე ამ მხრივ გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით. მაისშიც წარმატებით იმუშავეს და გეგმა 175 პროცენტით შეასრულეს.

ბურღვის კანტორამ სამმართველოს 850 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში კი ეკონომიამ 798.296 მანეთს მიაღწია, რაც XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მუშაობის გაშლის შედეგია.

ინერგება ჭაბურღილების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის სისტემა. ორი ჭაბურღილი უკვე ამ სისტემით მუშაობს.

აქ არიან სტახანოველები, წარჩინებული ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ. 513 მუშიდან 261 სტახანოველი და დამკვრელია.

ზაქარია ბაკაშვილი, № 14 ჭაბურღილის უფროსი, ორდენოსანი ოსტატი, სტახანოველია. მას აღებული აქვს ვალდებულება დაზგათვეზე გაბურღოს 1.000 მეტრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 მეტრისა. ამ ვალდებულებას პირნათლად ასრულებს. მარტო 14 მაისიდან 29 მაისამდე ჩათვლით გაბურღვილი ჰქონდა 643 მეტრი. ასეთი ნაყოფიერი მუშაობით ამხ. ბაკაშვილი მთელ თავის ბრიგადასთან ერთად წარმოებას უდიდეს ეკონომიას აძლევს.

პლატონ ფიფია, დურსუნ კაკალაძე და მრავალნი სხვანი ასევე წარმატებით მუშაობენ და გეგმებს ...

... დება ავარიები, რაც ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით აღმოფხვრილი.

ბევრ საყვედურს გამოსთქვამენ „საქნავთის“ ტექნიკური მომარაგების კანტორის მიმართ (დირექტორი — ამხ. გ. ალავიძე). ბურღვის წარმოება სერიოზულ შეფერხებებს განიცდის სატეხებისა და სამშენებლო მასალის (ხეტყე, სატამპონაჟო ცემენტი და სხვ.) დაგვიანებით მიწოდების გამო. ცემენტის უქონლობით № 88 ჭაბურღილი 3 დღეს იყო გაჩერებული, № 129, № 153 და სხვ. რამდენიმე დღეს მოსცდნენ.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ავარიები მაინც გრძელდება. მიმდინარე წლის 1 კვარტალში ავარიის 12 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, აპრილში — ოთხს და მაისში — სამს. ამის მთავარი მიზეზებია საწარმოო იარაღების გაცვეთილობა და მათზე მომუშავეთა გაუფრთხილებლობა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იარაღისადმი უდიერი მოპყრობაც.

მაგალითად, № 129 ჭაბურღილის უფროსის დუნსკის უყურადღებობისა და გულგრილობის შედეგად ადგილი ჰქონდა ავარიას, რამაც წარმოებას დიდი ზარალი მიაყენა. დუნსკი პასუხისგებაში მისცეს.

თითქმის მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი № 131 ჭაბურღილზე, ხოლო № 151 ჭაბურღილის კომკავშირული ბრიგადის ოსტატის მუსა ახმედოვის მიერ კანტორის დირექტორის ბრძანების შეუსრულებლობის გამო ჭაში ინსტრუმენტი გაიჭედა და ამრიგად მდგომარეობა ავარიული შეიქნა. მუშაობა რამდენიმე საათით გაჩერდა. პარტბიურომ 30 მაისს განიხილა ახმედოვის საკითხი და თვითნებური მოქმედებისათვის საყვედური გამოუცხადა მას.

ავარიების სავსებით თავიდან აცილება შეიძლება მიღწეულ იქნას მუშებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით და სტახანოვურ სკოლებში მათი ჩაბმით. ამ ღონისძიების გატარებას დროს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ბურღვის კანტორის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საჭიროა მაქსიმალური დახმარება, რომ ბურღვის კანტორამ სავსებით დააღწიოს თავი ნაკლოვანებებს და მტკიცედ ჩადგეს მოწინავეთა რიგებში.

რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესია საქმისათვის.

რა მდგომარეობაა **პატარა შირაქის** ნავთის სარეწაოზე?

აქ ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ ნავთის ამოღების გეგმას.

ამის მიზეზები მრავალია:

სარეწაოზე მუშა-ხელი აკლიათ. ოცი დამხმარე მუშის ნაცვლად ათი მუშაობს. წარმოებას არა ჰყავს ოპერატორები მიწისზედა სამუშაოების მოწყობილობათა რე- ...

როგორ მუშაობს № 41 ჭაბურღილი

17 წელია ნავთის სარეწაოებზე ვმუშაობ — ბაქოში, მირზაანში, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კი — სუფსა-ომფარეთის ნავთსაძიებო უბანში. ამჟამად № 41 ჭაბურღილის უფროსი ვარ. ...



„საქნავთის“ ტრესტის გეოლოგები (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. თაყაიშვილი, ნ. მიჭაძე, პ. მაღრაძე და ი. ზაიშმელაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

6 ივნისს კავშირის სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. ...

... (საკდესი).

რატომ ჭიანურდება ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა

სიღნაღი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სარწყავი არხების მოწყობამ სიღნაღის რაიონში ცხადჰყო, რომ მორწყვის საშუალებით აქ, მაგალითად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა შეიძლება გადიდებულ იქნას სამმაგად და ოთხმაგადაც. ჰექტარზე, ნაცვლად 12-15 ცენტნერისა, შეიძლება მივიღოთ 50 ცენტნერზე მეტი მოსავალი. მორწყვის საშუალებით თითქმის ასევე შეიძლება გადიდებულ იქნას თამბაქოს, ვენახის ...

... ჭარბებით (ამოღებულია 42.860 კუბური მეტრი მიწა), ხოლო ფასით შესასრულებელი სამუშაოს გეგმა—მთლიანად.

მექანიზებული საშუალებებით ამოსაღები 25.000 კუბური მეტრი მიწის ნაცვლად ამოღებულია მხოლოდ 12.795 კუბური მეტრი. ამის მიზეზია ის, რომ აქ არის მხოლოდ ერთი გრეიდერი და ისიც მესამე თვეა დაზიანების გამო უმოქმედოდ დგას.

... წელს გეგმით ალაზნის არხის წმენდაზე შესრულებულ უნდა იქნას 78.500 კუბური მეტრი მიწის სამუშაო, მათ შორის მოსახლეობის შრომით მონაწილეობით — 42.260 კუბური მეტრი.

მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესასრულებელი სამუშაოს წლიური გეგმა 1 ივნისისათვის შესრულებულ იქნა გადა- ...

... კომისარიატს, რომელსაც ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში რაიონიდან მიღებული ჰქონდა მასალები ნიადაგის შემადგენლობაზე, აგრომელიორატიულ ღონისძიებებზე, კულტურების განრიგებაზე, ჰიდროგეოლოგიური ხასიათის საკითხებზე და სხვ., მაგრამ, როგორც ირკვევა, პროექტი დღემდე შეუდგენელია.

ტრ. თოდრაძე

საომარი მოქმედების მიმოხილვა

კრეტაზე შეტევა, რაც გერმანიის ჯარმა 20 მაისს დაიწყო, 1 ივნისს დამთავრდა ამ კუნძულის ოკუპაციით. 12 დღის განმავლობაში ახალი ზელანდიის, ინგლისისა და ავსტრალიის ჯარები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის საავიაციო დესანტებს, რომლებსაც მძლავრი ყუმბარმშენი ...

... ლა მისი გამოყენება კუნძულის დასაცავად. კრეტის კუნძულზე მყოფი თვითმფრინავები წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის ავიაციას, მაგრამ, მცირერიცხოვანობის გამო, არ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ ოპერაციის მიმდინარეობაზე და მალე იძულებული გახდნენ ეგვიპტის აერო- ...

... მოუშვეს დაახლოებით 500 პარაშუტისტი. კანიის რაიონში, რომელიც მაღალი მთებით გარშემორტყმულ პატარა ხეობას წარმოადგენს, გაათრებული ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელ პარაშუტისტთა პირველი პარტიის შემდეგ მაშველმა ძალებმა იწყო მოსვლა, და ინგლისის ჯარს მოუხდა დაახევინეს.

... ბუქსირით მიჰყავდათ რამდენიმე პლანერი. როგორც ამერიკელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, პლანერი თავისი ზომით დიდ ყუმბარმშენს მოგვაგონებს და 16 ჯარისკაცს იტევს. ოთხმოტორიან თვითმფრინავ „ფოკე-ვულფს“ ბუქსირით მიჰყავს 10-მდე პლანერი, რომლებიც დაახლოებით 60 მეტრით არიან დაშორებული ერთმანეთს. ...

... დესანტები ვერ შესძლებდნენ ინგლისისა და საბერძნეთის ჯარების წინააღმდეგობის დაძლევას.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის ფლოტი, რომელიც კრეტის ზონაში მოქმედებდა, მოკლებული იყო თავისი ავიაციის დახმარებას; ...

... ყველით ... და ტყვიამფრქვევის დაშენით გაჰფანტეს ინგლისის გარნიზონი, რომელიც აეროდრომზე იმყოფებოდა, რის შემდეგ გერმანიის ჯარმა შესძლო მისი დაკავება. აეროდრომზე განუწყვეტლივ მოდიოდნენ ახალი ნაწილები. როგორც სჩანს, გერმანიის სარდლობის გეგმაში შედიოდა იმ კარგ გზაზე მდებარე დასახლებული პუნქტების ხელში ჩაგდება, რომელიც კანიიდან აღმოსავლეთისაკენ მიდის რეტიმნო-ჰერაკლიონის მიმართულებით. რეტიმნსა და ჰერაკლიონშიც გამოჩნდნენ თვითმფრინავები „იუნკერსი“, „ფოკე-ვულფი“, რომელთაც ...

... მოტორიებიც. მიწაზე დარჩენილი პლანერები ორიენტირს წარმოადგენდნენ სხვა თვითმფრინავებისათვის.

კრეტის კუნძულზე წარმოებულმა ოპერაციებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ჰაერში უპირატესობას და ავიაციისა და ხმელეთის ჯარის შეთანხმებულ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰაერში უპირატესობის მოხვეჭით გერმანელებმა შეძლოთ არსებითად დაუბრკოლებლად გადაესხათ დიდძალი მაშველი ჯარი და სწრაფად შეევსოთ სადესანტო ნაწილთა დანაკლისი. ავიაციას რომ მძლავრი დახმარება არ გაეწია, გერმანიის ...



... თაშუა ზღვის ფლოტის შენაერთებმა მათთვის დაკისრებული ამოცანა შეასრულეს და, როგორც ინგლისის სარდლობა ამტკიცებს, მთელი ოპერაციის განმავლობაში არ დაუშვეს გერმანიის საზღვაო დესანტის გადმოსხმა კრეტაზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არა მარტო ჰაერში უპირატესობა სწყვეტს ამგვარი ოპერაციების ბედს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თავდაცვის მოწყობას. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კუნძული მალტა. მალტა გაცილებით უფრო დაშორებულია ინგლისის ძირითად საავიაციო ბაზებს, ვიდრე კრეტა. მაგრამ, რადგან მალტაზე მძლავრი საზენიტო არტილერიაა და საკმაო რაოდენობით მოიპოვება თვითმფრინავები, მას ნაკლები საშიშროება მოელის ყუმბარმშენი ავიაციისაგან. კიდევ მეტი. როგორც გერმანიის პრესა აღნიშნავს, მალტაზე თავდასხმა მეტად საშიში საქმეა. ხოლო მძლავრი სანაპირო არტილერია მეტად საშიშ ოპერაციად ხდის საზღვაო დესანტის გადმოსხმას ...

კაპიტანი ამდიეევი

თამბაქოს პლანტაციებს ნესიერად არ უვლიან

(ყვარელი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებს, რომლებიც სიღნაღელთა მიმართვის საპასუხოდ ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებაში გურჯაანის და ლაგოდეხის რაიონებთან, ...

... მუშავებული. კატო ვარდიაშვილს ბრიგადაში, თებერვალსა და მარტში კოლმეურნეობაში არცერთი დღე არ უმუშავია, აპრილსა და მაისში კი იმუშავა მხოლოდ 7 დღე. ...

ტ. ბაქრაძე

გამოფენის მონაწილის ორდენოსან შ. გიგაურის ანგარიში

გორის რაიონის სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე

სოფ. ბერბუკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ერთერთ მძლავრ კოლმეურნეობად ითვლება გორის რაიონში. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამ კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 600 ცენტნერი კომბოსტო, 320 ცენტნერი პომიდორი, 28 ცენტნერი სიმინდი. მოსავლიანობის გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის სოფ. ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუდმივი მონაწილეა.

საკოლმეურნეო წყობილებამ ბერბუკს შინაარსი და სახე შეუცვალა. სოფელი გაიფურჩქნა და აყვავდა. კოლმეურნეები შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ. უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში ბერბუკში 52 კოლმეურნის ოჯახმა ორ-ორ სართულიანი სახლი აიშენა. მიწურები წარსულს ჩაბარდა. ის მიწები, რომლებსაც წინათ მემამულე დავრეშაშვილები ჰფლობდნენ, ახლა კოლმეურნეობის განკარგულებაშია. კოლმეურნეებმა აიძულეს მიწა უხვი მოსავალი მოეცა. გორის მტს-ი კოლმეურნეობას აქტიურ დახმარებას უწევს მიწების დამუშავებაში პირველხარისხოვანი იარაღ - მანქანებით.

კოლმეურნეობის ბრიგადებს შორის აღსანიშნავია შაქრო გიგაურის ბრიგადა. ამხ. გიგაური სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუდმივი მონაწილეა. გასულ წელს ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გიგაური ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 510 ცენტნერი კომბოსტო და 28 ცენტნერი სიმინდი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. შ. გიგაური დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით. მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ ამხ. გიგაური დაჯილდოებულია ვერცხლის მედალით. ამჟამად გიგაური მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელია. ეს ბრიგადა საუკეთესოდ უვლის ხეხილის ნარგავებს. მაღალია შრომის ნაყოფიერება.

ამხ. გიგაური ამ დღეებში დაბრუნდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან. მოსკოვში იგი გაეცნო გამოფენის — გამოცდილების ამ დიადი სკოლის საუცხოო მიღწევებს. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა მოესმინა ორდენოსანი ბრიგადირის შ. გიგაურის ანგარიში გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებისა და გამოცდილების შესახებ.

9 ივნისს სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა. მოვიდნენ მოხუცი და ახალგაზრდა კოლმეურნეები, ქალები ბავშვებით. [illegible] ...რის მოხსენება.

მოხსენება დიად გამარჯვებათა შესახებ

სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობის საერთო კრებას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. დ. აბალაკი. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ორდენოსან ბრიგადირს ამხ. შაქრო გიგაურს.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, — სიტყვები არ მყოფნის გადმოგცეთ იმ შესანიშნავ სანახაობათა შესახებ, რაც მე ვნახე მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ყველაფერი ლამაზი და ყველაფერი თვალწარმტაცია. ჭეშმარიტად, გამოფენა გამოცდილების დიადი სკოლაა. წლევანდელი გამოფენა ხასიათდება მით, რომ აქ ფართოდ არის ნაჩვენები, თუ როგორ იბრძოდნენ კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. აქ მოცემულია ის დიადი წარმატებანი, რაც სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით. გამოფენაში, როგორც სარკეში, ნათლად მოსჩანს საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა და უძლეველობა. მე გამოფენაზე გავეცანი იმ კოლმეურნეობათა მუშაობას, რომლებმაც განავითარეს მეურნეობის მრავალი დარგი. სტენდებზე ფართოდ არის ნაჩვენები ისეთი კოლმეურნეობა, რომელმაც განავითარა როგორც მარცვლეული, ისე ტექნიკური და სხვა კულტურები, მეცხოველეობა და სხვ.

როგორც მოგეხსენებათ, — ამბობს ამხ. გიგაური, — ბერბუკის კოლმეურნეობა ამაყობს მიღწევებით მებოსტნეობის დარგში. მე დიდად დავინტერესდი მებოსტნეობის საკითხებით და გავეცანი მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიღწევებს მებოსტნეობის დარგში. თქვენ შემეკითხებით, როგორ აღწევენ მოწინავენი წარმატებებს. აღწევენ იმით, რომ განუხრელად ანხორციელებენ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას, სწორად აქვთ მოწყობილი შრომა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მორწყვის საქმეს, შემჭიდროებულ ვადებში ატარებენ ბოსტნეული კულტურების დამუშავებას. კომბოსტოს და პომიდორის მოსავლიანობა რომ გავზარდოთ, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ბოსტნეულის დამუშავებას. ახლა, როდესაც ბოსტნეულის დამუშავების გაცხარებული მომენტია, არ დავაყოვნოთ ეს სამუშაო.

კრებას უნდა მოეახსენო, რომ მებოსტნეობის ზონალურ პავილიონში გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები ეცნობიან აგრეთვე ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანების ფოტო -სურათებს. მაგალითად, სტენდზე მოცემულია ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. დ. აბალაკის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. მერებაშვილის და რგოლის ხელმძღვანელის შუშანა გიგაურის ფოტო-სურათები. ყოველივე ეს გვავალებს კიდევ უფრო უკეთესად ვიმუშაოთ და წელს მივიღოთ კომბოსტოს ნამდვილად ბარაქიანი მოსავალი.

ბრძოლა მეცხოველეობის აღმავლობისათვის

დიდებული სანახავია მიღწევები მეცხოველეობის დარგში. მე აქ ვნახე სახელგანთქმულ მწველავ კოლმეურნე ბარკოვაიზე მიმაგრებული ძროხა, რომელმაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საშუალოდ წელიწადში 8.200 ლიტრი რძე მოიწველა. ვნახე აგრეთვე შვიცის ჯიშის ძროხა, რომელიც წელიწადში საშუალოდ იძლევა 7.885 ლიტრ რძეს. დავინტერესდი იმით, თუ როგორ აღწევენ მოწინავენი ასეთ მშვენიერ წარმატებებს. საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მეცხოველეობის მოწინავენი სანიმუშოდ უვლიან პირუტყვს, მათ მტკიცედ აქვთ დანერგილი კვების რაციონი. პირუტყვი რაც უფრო მეტია წონაში, მას მით უფრო მეტ საკვებს აძლევენ. მე აქ ვნახე ბუღა, რომელიც 1.122 კილოგრამს იწონის, დედალორი, რომელიც 397 კილოგრამს იწონის. მეცხოველეობის პავილიონში წარმოდგენილია დეცახვარი, რომელიც 105 კილოგრამს იწონის.

მიჩურინის ბაღში

მიჩურინის ბაღი რამდენჯერმე დავათვალიერე. სიმართლე გითხრათ, იქიდან გამოსვლა მიძნელდებოდა. რა კარგი სანახავია ბუნების დიადი გარდამქმნელის—ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის მიერ გამოყვანილი ხეხილის ახალი ჯიშები. ამავე დროს აქ ნაჩვენებია ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ მიჩურინის მოწაფეები. თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ხეხილის ბაღის მოვლას და მისი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, ამას ნათლად იგრძნობს ადამიანი სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილ მიჩურინის ბაღში.

დიდი სიყვარულით ლაპარაკობს ამხ. გიგაური მყნობის იმ წესებზე, რომელიც მან ნახა მიჩურინის ბაღში.

ჩვენი მანქანები

მართლაც, რომ მექანიზაციის პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გულია. რამდენი ახალი მანქანებია აქ, მე, რა თქმა უნდა, ძალა არ შემწევს ყველა დავასახელოთ. მე ვიყავი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1939 და 1940 წლებში, მაგრამ წელს მექანიზაციის პავილიონში გაცილებით მეტი მანქანებია წარმოდგენილი. ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა მანქანებთან ერთად პომიდორის სარგავმა მანქანამ. მე ვნახე მანქანა, რომელიც პომიდორს რგავს და თანაც ერთდაიმავე დროს რწყავს. პომიდორის სარგავი ეს მანქანა, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც საჭიროა და ამ საკითხის მოგვარებისათვის ჩვენ უნდა ვიზრუნოთ.

O

მოსკოვში ყოფნისას მე განვიცადე აგრეთვე დიდი სიხარული. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მითხრეს, რომ დღეს კრემლში გიწვევენ შუადღის სრულ 12 საათზე და ორდენი უნდა მიიღოო. მე გული სიამაყით ამევსო, როდესაც კრემლის დარბაზში ვიმყოფებოდი. ამხ. ბადაევმა ლენინის ორდენი გადმომცა. ისევ სიხარული და სიხარული.

ამხანაგებო! მართალია, ჩვენს კოლმეურნეობას კარგი მიღწევები აქვს, მაგრამ ჩვენ კიდევ მეტის გაკეთება შეგვიძლია. პირადად მე სიტყვას ვიძლევი, რომ ბრიგადა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, სამეურნეო წელს დიდი წარმატებით დაამთავრებს. თქვენთან ერთად მოვიპოვოთ მორიგი გამარჯვება მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. ის უმაღლესი ჯილდო, რომელიც მე მივიღე, მავალებს უკეთესად ვიმუშაო, და ამას მე შევძლებ.

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს** (ხანგრძლივი ტაში).

მოხსენება დამთავრდა. კოლმეურნენი გატაცებით მისჩერებოდნენ ამხ. გიგაურს და ყველას სახეზე სიხარულის ღიმილი უკრთოდა.

ამხ. გიგაურს მისცეს შეკითხვები. შეკითხვებზე მან ამომწურავი პასუხი გასცა.

სიტყვას ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. აბალაკი. ამხანაგებო! წელს ჩვენი კოლმეურნეობის წინაშე პასუხსაგები ამოცანებია დასახული. პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის. ჩვენი კოლმეურნეობა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაკისრი გვაქვს ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 800 ცენტნერი კომბოსტო, 320 ცენტნერი პომიდორი. შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებასთან ერთად საჭიროა ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება. ჩვენმა ორდენოსანმა ბრიგადირმა ამხ. გიგაურმა აქ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ, რა გზით აღწევენ მოწინავენი წარმატებებს. ეჭვი არ არის, რომ სოფ. ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ცნობილია მებოსტნეობის კულტურების უხვი მოსავლით, წელს კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევს არა მარტო მებოსტნეობის, არამედ მეხილეობისა და მარცვლეული კულტურების დარგში.

კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება

ამხ. გიგაურის მოხსენების ირგვლივ სოფ. ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კონკრეტული გადაწყვეტილებანი მიიღო. ამ ღონისძიებებში ნათქვამია: მოსავლიანობის შემდგომი გადიდების მიზნით განუხრელად განახორციელონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, ეთხოვოს რაიმიწგანს გამოჰყოს სპეციალისტები, რომლებიც კოლმეურნეობაში გააკეთებენ მოხსენებას გამოფენის მონაწილეთა მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე, პირუტყვის კვების საკითხში სრულად გაატარონ კვების რაციონი, ფართოდ დანერგონ კოლმეურნეობაში გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება და სხვ.

O

კრება დამთავრდა. კრების მონაწილენი დაიშალნენ იმ მხურვალე სურვილით, რომ სანიმუშოდ დაამუშაონ ბოსტნეული, უდანაკარგოდ აიღონ მიმდინარე წლის ბარაქიანი მოსავალი და მიაღწიონ მეურნეობის ყველა დარგის ფართოდ განვითარებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემდგომი სიუხვისათვის.

თ. კუნჭულია
„კომუნისტის" სპეც. კორ

გორის რაიონის სოფ. ბერბუკის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება. ორდენოსანი ბრიგადირი ამხ. შ. გიგაური უამბობს კოლმეურნეებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ.
ფოტო რ. აკოფოვისა

[illegible]

ა. ი. ოდოევსკის ხსოვნას

1.

მე მას ვიცნობდი. ორნი ერთად ვმოგზაურობდით
აღმოსავლეთის მაღალ მთებში... განდევნის სევდას
ვიყოფდით ძმურად. სამშობლოში მე ისევ მოვხვდი
და გაჭირვების მწარე ხანამ, გრძნობას რომ სძლევდა,
განვლო, წავიდა კანონიერ თანდათანობით;
მას არ ეღირსა სანატრელი ეგზომ წამები.
ღარიბ, სალაშქრო კარავის ქვეშ განაწამები
იგი დაეცა და თან წაჰყვა უნაზეს კრთომით
ფრთიანი გროვა, შთაბერილი სპეტაკი გრძნობით,
მოუმწიფებელ, ხორცშეუსხმელ შთაგონებათა,
ამაოდ შთენილ იმედების, მონანებათა...

2.

ის გაჩნდა მხოლოდ, რომ შეეგრძნო ეს იმედები,
ბედნიერება, პოეზია... მაგრამ უგონოთ
ბავშვობის ხანა მალე დასთმო თავგამეტებით,
ცხოვრების ზღვაში გადასტყორცნა გული უღონო
და საწუთრომან არ დაინდო, არცა განგებამ.
მაგრამ ბოლომდე, მღელვარების დროსა და ბრბოში,
ყველგან, ყოველთვის, უსხივოსნო ცივ უდაბნოშიც
არ ჩაჰქრობია მას სათუთი გრძნობა და ვნება.
შეინარჩუნა მან ცისფერი თვალთ ელვარება,
სიცილი ბავშვის და ცოცხალი მეტყველი ენა,
ადამიანის და მომავლის ამაყი რწმენა.

3.

მაგრამ ის მოკვდა შორს, მეგობართ განშორებული...
ძვირფასო საშა! მიენიჭოს მაგ გულს მშვიდობა,
უცხო მინდვრების ცივ წიაღსა მისვენებული
იმყოფებოდეს იგი მშვიდად, ვით ჩვენი ძმობა
ამ ჩემი ხსოვნის მუნჯ სამარეს მიბარებული.
როგორც მრავალნი, დაიღუპე შენც უხმაუროდ,
მაგრამ სიმტკიცით. საიდუმლოდ და უცნაურად
შენს შუბლზე კიდევ დასცურავდა ფიქრი დიადი,
ძილი მარადი როს იპყრობდა თვალებს წყვდიადით.
და ის, რაც მაშინ შენ წარმოსთქვი, ოდეს კვდებოდი,
ვინც შენ გისმენდა — მას ვერც ერთი ვერ მიხვდებოდა...

4.

თუ იყო იგი მისალმება მშობლიურ მხარეს,
ან მიტოვებულ მეგობრისა ნაზი სახელი,
ნორჩ და დაკარგულ სიცოცხლეზე ფიქრი მწუხარე,
ან უკანასკნელ სნეულების ამოძახილი, —
ვინ გვეტყვის ამას. უკანასკნელ შენი სიტყვების
ღრმა მნიშვნელობა, ჩვენი გულის ეგზომ დამწველი,
დაკარგულია. შენი აზრი, საქმე ყოველი
და ფიქრი შენი ყველაფერი უკვალოდ ჰქრების,
ვით საღამოს ჟამს აორთქლება მსუბუქ ღრუბლების:
წამს იელვებენ — მათ ხელახლა ქარი წაიღებს.
საით ან რისთვის? ვინ იკითხავს ან ვინ გაიგებს..

5.

და მათი წყება არ დასტოვებს კვალს მცირეოდენს,
ისე, ვით ბავშვის უიმედო, ფარული ტრფობა,
როგორც ოცნება საიდუმლო, რომ არასოდეს
ის არ ანდობდა საზრუნველად ნაზ მეგობრობას!
რა საჭიროა? დაავიწყდეს, ნუ ეწამება
ქვეყანას მისთვის ეგ სიცოცხლე მიუღებელი!
რათ გინდა მისი გვირგვინები სადიდებელი,
ან მისი მწარე, გესლიანი ცილისწამება?
შენ მას სამსახურს არ უწევდი, ყრმობის წამიდან
დაჰგმე შენ მისი ცბიერება და ბორკილები...
გიყვარდა ზღვის ხმა, მდუმარება ცისფერ ველების,

6.

და პირქუშ მთების აზიდული ცად მწვერვალები...
და შენი უცნობ, დავიწყებულ სამარის პირთან
ბედმა შეჰყარა სიუხვითა და ბრწყინვალებით,
რაც სიცოცხლეში შენ ყოველთვის სიამეს გგვრიდა.
სდუმს ლურჯი ველი და გვირგვინით თავშემკობილი
კავკასიონი შემორტყმია მას ყოველმხრიდან,
იგი სთვლემს ჩუმათ, გადაჰყურებს ზღვას სიმაღლიდან,
როგორც დევ-გმირი ბუმბერაზი ფარს დაყრდნობილი,
გულჩათხრობილი უსმენს, რასაც მოუთხრობს ტალღა,
და შავი ზღვა კი განუწყვეტლივ ხმაურობს ლაღად.

თარგ. **კოლაუ ნადირაძისა.**

ახალი წიგნი

„მერცხალა"

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პოეტ შ. შუბლაძის საბავშვო პოემა „მერცხალა", აგებული საკმაოდ საინტერესო სიუჟეტურ კვანძზე. წიგნი დასურათებულია მხატვრების რ. რევაზიშვილის, ო. ჯვარშიშვილის და მ. ჩარგალეიშვილის მიერ. მისი რედაქცია ეკუთვნის გ. ტ. ნიორაძეს. წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს 3 მანეთი.

ა. ბუჩუკური
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სას.-სამ. განყოფილების გამგის მოადგილე

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის

საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ინტერესები უდევს საფუძვლად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებას „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რომლის ძალითაც ყველა კოლმეურნეობას ევალება მოაწყოს მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები.

ამ ისტორიული მნიშვნელობის მქონე დადგენილების რეალიზაციის პროცესში საკოლმეურნეო მეცხოველეობამ სოციალისტური მშენებლობის დამახასიათებელი აღმავლობა განიცადა. კოლმეურნე გლეხობა დარწმუნდა, რომ მეცხოველეობის განვითარების გარეშე საკოლმეურნეო წარმოება სრულქმნილი არ არის, დარწმუნდა იმაში, რომ „მეცხოველეობის წარმატებით განვითარება უფრო ჩქარა მიჰყავს კოლმეურნე გლეხობა შეძლებული ცხოვრებისაკენ" (ლ. პ. ბერია).

აღნიშნულს ადასტურებენ საქართველოს სსრ კოლმეურნეობების მიღწევებიც. თუ 1939 წ. 1 ივლისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში იყო მეცხოველეობის 3.521 საკოლმეურნეო ფერმა, 1941 წ. 1 იანვრისათვის ფერმების რიცხვი უდრიდა 9.583-ს (გარდა მეფრინველეობის 2.048 ფერმისა, სადაც 118 ათასი ფრთა ფრინველი იყო). 1939 წ. 1 ივლისისათვის მოყოველ 100 კოლმეურნეობაზე მოდიოდა პროდუქტიული პირუტყვის 85 ფერმა, ხოლო 1941 წ. 1 იანვრისათვის — 213 (მეფრინველეობის ფერმების ჩაუთვლელად). იმავე რიცხვისათვის კოლმეურნეობათა 96.2 პროცენტს ჩამოყალიბებული ჰქონდა ორ-ორი და სამ-სამი ფერმა. 1939 წ. 1 იანვრიდან 1941 წ. 1 იანვრამდე საკოლმეურნეო მსხვილფეხა პირუტყვის სულადობამ იმატა 55,3 პროცენ- [illegible]

მეცხოველეობის განვითარების 1941 წ. გეგმით საქართველოს კოლმეურნეობების წინაშე დასახულია ფრიად პასუხსაგები ამოცანები. გეგმა ითვალისწინებს მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის გაზრდას 15 პროცენტით (მათ შორის ფურების — 44,6 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობის ზრდას — 18,8, ღორის—27,5 და ცხენებისა—8,25 პროცენტით).

მთლიანად რესპუბლიკაში ამ დავალების რეალიზაცია უზრუნველჰყოფს საკოლმეურნეო ფერმების დაკომპლექტებას პირუტყვის იმ მინიმალური სულადობით, რაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებით არის ნაკარნახევი 1942 წლის ბოლოსათვის.

გეგმა სავსებით რეალურია, ამას ადასტურებს 1941 წლის პირველი კვარტალის მონაცემებიც, საიდანაც სჩანს, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება მეცხოველეობისათვის საჭირო საწარმოო ბაზა და მაღლდება მეცხოველეობაში მომუშავე კადრების საწარმოო კვალიფიკაცია. მეცხოველეობისათვის ერთერთი პასუხსაგები პერიოდი, პირველი კვარტალი, კოლმეურნეობების უმრავლესობამ წარმატებით დაამთავრა; წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ნაშენის სიკვდილიანობა. თუ 1940 წ. პირველ კვარტალში ხბოების სიკვდილიანობა რესპუბლიკაში 5,5 პროც. უდრიდა, 1941 წ. პირველ კვარტალში სიკვდილიანობა შემცირდა 2,7 პროცენტამდე, ბატკნებისა და თიკნების სიკვდილიანობა 3,7 პროცენტიდან 1,4 პროცენტამდე, კვიცის—4,7%-დან 2,8%-მდე, გოჭებისა — 6,8%-დან 6%-მდე. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში ნაშენის სიკვდილიანობა კიდევ უფრო უმნიშვნელოა.

მაგრამ მოწინავე რაიონებთან ერთად ნამატის შენარჩუნებაში [illegible] პროცენტი დაიხოცა, გორის რაიონში—7,3,%, ბოგდანოვკის რაიონში — 6,8%, ჩხარის რაიონში — 7,7%. ცალკეულ კოლმეურნეობებში ნამატის სიკვდილიანობა შეუწყნარებლივ მაღალია. მაგალითად, თბილისის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკვდა 57 ხბო, მაშინ როდესაც მთელ რაიონში დახოცილია 64 ხბო. ბორჯომის რაიონის სოფ. ციხისჯვრის კოლმეურნეობაში მოკვდა 10 ხბო, სულ რაიონში კი 11.

მეცხოველეობის ფერმების პროდუქტიული პირუტყვით დაკომპლექტების საქმეში მთელი რიგი კოლმეურნეობებისათვის ჯერ კიდევ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის შესყიდვას. ამ მიმართულებით მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, განსაკუთრებით ბოგდანოვკის რაიონში, სადაც კოლმეურნეობების მიერ მსხვილფეხა პირუტყვის შესყიდვის 1941 წ. გეგმა 1 მაისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 1,3 პროცენტით, ახალციხის რაიონში — 2%, ქარელის რაიონში — 3,2%, თიანეთის რაიონში 1,3%, ქუთაისის რაიონში — 2,6%, საჩხერის რაიონში—1,8%, ზუგდიდის რაიონში, — 1,7%, ხობის რაიონში — 1,9%, ორჯონიკიძის რაიონში—2,1%-ით, ცხაკაიას რაიონში—0,4 პროცენტით. ასევე მცირე რაოდენობით არის შესყიდული პირუტყვი მთელ რიგ სხვა რაიონებშიც, ხოლო ჩხოროწყუს და ფოთის რაიონების კოლმეურნეობებს ჯერ ერთი სულიც არ შეუსყიდიათ.

მუშაობის ეს უბანი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების და კოლმეურნეობების მხრით. საჭიროა პირუტყვის შესყიდვა ვაწარმოოთ სისტემატურად, მთელი წლის მანძილზე, არ გადავდოთ ეს საქმე შემოდგომისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბაშკიჩეთის და სხვა რაიონებში 1940 წელს, როდესაც წლის მანძილზე არსებული სარეალიზაციო პირუტყვის დიდი ნაწილი შემოდგომისათვის უკვე გაყიდული აღმოჩნდა, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ შესძლეს პირუტყვის შესყიდვის გეგმების შესრუ- [illegible]

მეცხოველეობის განვითარების 1941 წლის გეგმის ერთერთ ძირითად რგოლს წარმოადგენს პროდუქტიულობის მაჩვენებლები: წველადობა, მატყლის ნაპარსი, წონაში მატება, თვითეულ სულ დედაპირუტყვზე ნაშენის გაზრდა და სხვა.

აღნიშნული მაჩვენებლები მეცხოველეობის განვითარების წინა წლების გეგმებში არ იყო გათვალისწინებული. გეგმაში ასეთი ხარისხობრივი მონაცემების არსებობა მას კიდევ უფრო მეტ მორგანიზებულ ძალას და მაღალ ხარისხს აძლევს. ეს გვავალებს კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეობათა მუშაობის კულტურის დონე, უზრუნველვყოთ კოლმეურნეების მიერ დახარჯული შრომისა და შრომის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტი აღრიცხვა და მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის კოლმეურნეობები შეიარაღებულნი არიან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წ. 13 მარტის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ". ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებით ბოლო მოეღო მეცხოველეობის მოწინავე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში არსებულ უკანონობას. ის კოლმეურნეები, რომელნიც გეგმით გათვალისწინებულზე მეტ და უკეთეს ნამატს გამოზრდიან, რომელნიც მათზე მიმაგრებული პირუტყვიდან მეტი პროდუქტების მიღებას უზრუნველჰყოფენ, — მიიღებენ მეტ შემოსავალს. ასეთ კოლმეურნეებს შრომა აუნაზღაურდებათ არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, არამედ გეგმის გადამეტებით შენარჩუნებული ნამატის და მიღებული პროდუქციის განსაზღვრული ნაწილის მიცემითაც. ეს გვეკარნახებს სწორად მოვაწყოთ შრომა მეცხოველეობის ფერმებში, უზრუნველვყოთ ყველა [illegible]

მეში დიდი მნიშვნელობა აქვს სახორცედ ჩასაბარებელი პირუტყვის დროულად გამოწრუნებას და გასუქებას.

კოლმეურნეობების უმეტესობა ხორცის ჩაბარებას დღემდე უმთავრესად აწარმოებს საშუალო და საშუალოზე დაბალი სიმსუქნის მქონე მსხვილფეხა პირუტყვის ხარჯზე, რის გამო ვალდებულებათა შესრულებისათვის მათ მეტი სულადობის გამოყვანა უხდებათ მწყობრიდან. 1940 წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებს, რომ უზრუნველეყოთ სახორცით ჩასაბარებელი მსხვილფეხა პირუტყვის სათანადოდ გასუქება, მათ დასჭირდებოდათ 17 პროცენტით ნაკლები სულადობის ჩაბარება, ვიდრე ჩააბარეს. ბორჩალოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1941 წლის პირველ კვარტალში ჩააბარა 17 სული საშუალო სიმსუქნის მსხვილფეხა საქონელი. ეს პირუტყვი საშუალოზე მაღალი სიმსუქნის რომ ყოფილიყო, გეგმის შესასრულებლად საკმარისი იქნებოდა 15 სული.

კოლმეურნეობების დიდი ნაწილი სახორცედ ჩასაბარებელი პირუტყვის გამოწრუნებას და გასუქებას ყურადღებას არ აქცევს. სამუშაოს ეს უბანი უყურადღებოდ მიტოვებული აქვთ რაიმიწგანებს და დამზადების რაიონულ ორგანიზაციებსაც. თელავის რაიმიწგანი და დამზადების რაირწმუნებული დაკმაყოფილდნენ პირუტყვის გასუქების გეგმების კოლმეურნეობებამდე დაყვანით, ხოლო როგორ სრულდება ადგილებზე ეს დავალება, ამის კონტროლსა და ხელმძღვანელობას ისინი არ ეწევიან.

ამ ნაკლის გამოსწორებისათვის საჭიროა, რომ რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა შეამოწმონ კოლმეურნეობები, დახმარება გაუწიონ მათ პირუტყვის გამოწრუნების და გასუქების საქმეში ისე, რომ კოლმეურნეობებმა ნაკლები სულადობის ჩაბარებით უზრუნველჰყონ თვიური და კვარტალური გეგმების სისტემატური შესრულება მაღალი კონდიციის მქონე გამოწრუნებული პირუტყვის ხარჯზე. [illegible] ნებას. სათალო პირუტყვი უნდა მოთავსდეს უკეთესი ხარისხის საძოვრებზე, მიმაგრებულ იქნას კონკრეტულ მომვლელებზე. შრომის სწორი ორგანიზაციით უნდა უზრუნველვყოთ ამ კოლმეურნეთა დაინტერესება პირუტყვის გასუქებაში. სახორცედ ჩასაბარებელი, გასასუქებლად დაყენებული მუშა-პირუტყვი არ უნდა იქნას გამოყენებული სამუშაოზე.

მეტ ყურადღებას მოითხოვს პირუტყვის საკვებით მომარაგების საკითხი. წარსულ წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თივის აღების და საკვების დასილოსების საქმეში. ამან უზრუნველჰყო პირუტყვის დამაკმაყოფილებლად გამოზამთრება და შედარებით უკეთესი მაჩვენებლები ნაშენის მიღებაში.

მიმდინარე წელს ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პირუტყვის საკვებით მომარაგების საქმეში კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მივიღოთ. ამისი პირველი საწინდარია პარტიისა და მთავრობის 1941 წ. 13 მარტის დადგენილების ცხოვრებაში გატარება, რომლის ძალითაც ბრიგადის წევრები, ბრიგადაზე მიმაგრებული სათიბი ფართობიდან, გეგმით გათვალისწინებულ მოსავალზე ზევით მიღებული თივის მესამედს მიიღებენ, როგორც შრომის დამატებითს ანაზღაურებას. საჭიროა სათიბი ფართობები მიმაგრებულ იქნას ბრიგადებზე, დადგინდეს მოსავლიანობის გეგმიური მაჩვენებლები, თივის აღების კალენდარული ვადები, წესრიგში მოყვანილ იქნას საჭირო მანქანა-იარაღები და სათანადოდ განემარტოს კოლმეურნეობების წევრებს შრომის დამატებითი ანაზღაურების პირობები თივის აღებასთან დაკავშირებით.

კოლმეურნეობებმა ახლავე უნდა დაიწყონ სასილოსე ნაგებობათა შეკეთება და აშენება, ფართოდ გამოიყენონ წარსული წლის გამოცდილება მარტივი ტიპის სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დარგში და მეტი ყურადღება მიაქციონ სასილოსე კულტურების მოვლა-დამუშავებას, საკვების დასილოსების დროულად ჩატარებას.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დიადი [illegible] საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ". პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების საბრძოლო ამოცანაა.

საკავშირო მთავრობის დადგენილება მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს საკვები კულტურების მოსავლიანობის გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის მატერიალურ წახალისებას, რაც უდიდეს სტიმულს ჰქმნის საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განვითარებისათვის. ამოცანა ახლა ის არის, რომ ბოლშევიკურად მოვაწყოთ ბრძოლა ამ შესანიშნავი დადგენილების განუხრელად განსახორციელებლად.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობაში, მეცხოველეობის ფერმებსა და ბრიგადებში ამ შესანიშნავი დადგენილების ფართო პოპულარიზაცია, მათ საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ ეს დადგენილება და დავრაზმოთ კოლმეურნეთა მასები საკოლმეურნეო მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია და კოლმეურნეობა პირუტყვის ბინათმშენებლობის საქმეში ხშირად კამპანიურობას მისდევს. ნაცვლად სისტემატური მუშაობისა, ბინების მშენებლობას იწყებენ შემოდგომაზე, როდესაც პირუტყვის ბინებში შერეკის დრო დამდგარია. ბინათმშენებლობა უნდა ვაწარმოოთ იმ ანგარიშით, რომ საქონლის ბაგურ შენახვაზე გადაყვანის დროს პირუტყვი მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი განსაზოგადოებული, კეთილმოწყობილი ბინებით, ამას კი ახლავე სჭირდება მშენებლობის ფართოდ გაშლა.

მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის საპატიო ამოცანას წარმოადგენს. დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ აგრეთვე სპეციალისტებს, რომელნიც მოწოდებული არიან იბრძოლონ საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. [illegible]

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 9 ივნისი (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 8 ივნისს, ღამით, გერმანიის ერთეულმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს სანაპირო პუნქტებს. ბომბარდირების შედეგად მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა, მსხვერპლი დიდი არ არის. გუშინ, საღამოს, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს კორნუელის საგრაფოს სანაპიროზე მდებარე ქალაქს. დანგრეულია რამდენიმე სახლი. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 8 ივნისს, ღამით, ინგლისის ავიაცია თავს დაესხა დასავლეთ გერმანიას. წარმატებით იქნა ბომბარდირებული ობიექტები ესენსა და დორტმუნდში, სადაც ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის თვითმფრინავები, რომლებიც ამ თავდასხმაში იღებდნენ მონაწილეობას, მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 9 ივნისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს მტრის გემები 31.500 სარეგისტრო ბრუტო ტონა საერთო წყალწყვისა.

7 ივნისს ღამით გერმანიის თვითმფრინავები ხელახლად დაესხნენ ინგლისელთა საზღვაო ბაზას ალექსანდრიაში. საზენიტო არტილერიის ცეცხლის მიუხედავად, მსხვილი ყალიბის ყუმბარებმა დააზიანა სანავსადგურო ნაგებობანი და საზღვაო არსენალები. რამდენიმე ადგილას დიდი ხანძარი მოედო ნავსადგურის ნაგებობებს, რომლებსაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ.

წუხელ გერმანიის თვითმფრინავებმა ინგლისის წყლებში ჩაძირეს მტრის 2 სავაჭრო გემი 7 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა და ყუმბარა დაუშინეს სანავსადგურო ნაგებობებს ინგლისის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროზე. დღისით გერმანიის თვითმფრინავმა წარმატებით დაუშინა ყუმბარა ნედლეულის საწყობს სამხრეთ ინგლისში.

ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიის არტილერიამ კვლავ დაუშინა ინგლისელთა საარტილერიო პოზიციებს ტობრუკთან. გერმანიისა და იტალიის თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა მტრის სიმაგრეებსა და საზენიტო არტილერიის პოზიციებს ტობრუკთან.

წუხელ ინგლისის ცალკეული თვითმფრინავები თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიას. არის რამდენიმე მოკლული და დაჭრილი. სამხედრო და სამრეწველო ობიექტები არ დაზარალებულა. რამდენიმე სახლში გაჩენილი ხანძარი მალე ჩაქრობილ იქნა.

4-დან 8 ივნისამდე ინგლისელებმა დაჰკარგეს 10 თვითმფრინავი. 8 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლის დროს, ხოლო 2 თვითმფრინავი საყარაულო გემმა ჩამოაგდო. ამავე ხნის განმავლობაში გერმანიის ავიაციამ 9 თვითმფრინავი დაჰკარგა.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 9 ივნისი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის არტილერიამ ყუმბარა დაუშინა 2 გემს, რომლებიც ტობრუკის ნავსადგურში შედიოდნენ, იტალიის ავიაციამ დააზიანა ტობრუკის საწყობები და გამაგრებული პოზიციები, ამასთან მოსპო მტრის ავტომანქანები. მტრის ავიაცია თავს დაესხა ბენგაზს, დერნასა და ტრიპოლის.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჯერ კიდევ გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ჰალისა და სიდამოს ოლქში. გონდარის რაიონში ძლიერი საარტილერიო სროლაა.

ამერიკის მთავრობამ ჯარი გაგზავნა ლოს-ანჟელოსის რაიონში გაფიცვის შესაწყვეტად

ვაშინგტონი, 9 ივნისი (საქდესი). 7 ივნისს თეთრმა სახლმა (პრეზიდენტის რეზიდენცია) გამოაცხადა, რომ რუზველტის მიერ სამხედრო საჭიროებისათვის რეკვიზირებული იქნება „ნორტ ამერიკენ ავიეიშნის" კომპანიის ქარხანა ინგლევუდში (კალიფორნიის შტატი), რომელიც ამჟამად დახურულია გაფიცვის გამო, და ბრძანებას მისცემს სამხედრო სამინისტროს ხელში აიღოს კონტროლი ამ ქარხანაზე, უკეთუ 9 ივნისს მუშაობას არ განაახლებენ მუშები. რუზველტის მდივანმა ერლიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტი ამ ქარხნის რეკვიზიციას მოახდენს იმ სპეციალურ რწმუნებულების საფუძველზე, რომელიც მას აქვს შეუზღუდველი საგანგებო მდგომარეობის დროს.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აცხადებს, რომ 8 ივნისს გაიმართა 3.500 გაფიცული მუშის მიტინგი, რომელზედაც გადასწყვიტეს გაფიცვა განაგრძონ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ რუზველტმა სამხედრო სამინისტროს უბრძანა დააწესოს კონტროლი „ნორტ ამერიკენ ავიეიშნის" კომპანიის ქარხანაზე და განაახლოს იქ მუშაობა.

იუნაიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ საავიაციო ქარხანაში 600-მდე ჯარისკაცი ჩავიდა. ამერიკის არმიის წარმომადგენელმა ბრედშოუმ განაცხადა, რომ მან ვაშინგტონიდან მიიღო ინსტრუქცია „ყოველგვარი საჭირო ზომები მიიღოს" მუშაობის განსაახლებლად.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით „ნორტ ამერიკენ ავიეიშნის" კომპანიის ქარხანაში 11.500-დე მუშა მუშაობს. ქარხანა საშუალო ყუმბარმშენებსა და სასწავლო თვითმფრინავებს ამზადებს. გაფიცვა 3 ივნისს დაიწყო. მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 9 ივნისს დილით ადგილობრივი პოლიცია შეეცადა შტრაიკბრეხერები მიეყვანა ქარხნის ტერიტორიაზე და ცრემლმდენი გაზებით მიიტანა იერიში მუშათა პიკეტებზე. მუშები აგროვებდნენ ყუმბარებს, რომლებიც არ გასკდა, და კონტრშეტევაზე გადადიოდნენ პოლიციის წინააღმდეგ. დაჭრილია რამდენიმე კაცი.

საფრანგეთის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი

ლიონი, 9 ივნისი (საქდესი). როგორც ჰავას - ოფის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, საფრანგეთის ესპანელმა ელჩმა ფრანსუა პიეტრიმ ინგლისის ესპანელ ელჩს სემიუელ ჰორს გადასცა საფრანგეთის მთავრობის ნოტა სირიის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარის შეჭრის გამო.

მდგომარეობა სირიაში

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს დამასკოელი კორესპონდენტი იუწყება, სირიაში საალყო წესები გამოაცხადეს. ხელისუფლებამ აკრძალა საჯარო მიტინგები, ყოველგვარი პროპაგანდა, კერძო პირთა მიერ საქალაქთაშორისო ტელეფონითა და ტელეგრაფით სარგებლობა. მცხოვრებთ ებრძანათ საღამოს 9 საათიდან შუქი ჩააქრონ. ამ განკარგულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

ბერლინი, 9 ივნისი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უმაღლესი კომისრის განკარგულებით სირიასა და ლიბანში დახურულია ყველა სკოლა. ხელისუფლებამ მოსახლეობას მიუთითა ჩაბნელება მოაწყონ ყველა ქალაქსა და სოფელში.

ამერიკის ცნობები სირიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტი იუწყება, სირიაში საომარი მოქმედება ამჟამად ლიბანის საზღვარზე მიმდინარეობს სანაპიროს მახლობლად, აგრეთვე ეს-სუვეიდასთან. საფრანგეთის სამხედრო წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის ჯარმა და გენერალ დე გოლის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც ამანიდან (ტრანსიორდანია) შეიჭრნენ, იერიში მიიტანეს ჯებელ-დრუზის რაიონზე. ფიქრობენ, რომ ჯარი ტრანსიორდანიიდანაც იგზავნებოდა რკინიგზით.

შემდეგ კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ, ხელისუფალთა განკარგულებით, სირიაში დახურულია ყველა სკოლა.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარმა და გენერალ დე გოლის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სური (ტირი) მერჯაიუნის სანაპიროზე, დამასკოდან სამხრეთ-დასავლეთით 50-60 კილომეტრზე, და პუნქტი დერაა, რომელიც ამანიდან დამასკოსაკენ მიმავალ რკინიგზაზე მდებარეობს. როგორც შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის ოფიციალურ წრეებში განაცხადეს, რომ საფრანგეთის ჯარი, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევს სურში (ტირში).

უცხოეთის ქრონიკა

მალტის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა დობიმ რადიოთი განაცხადა, რომ, შესაძლოა, მალტაში მტრის შემოჭრის საშიშროება შეიქმნას.

10 ივნისამდე პარიზიდან ვიშში გაემგზავრება 36 დიპლომატიური მისიის დაახლოებით ორი ათასი თანამშრომელი.

9 ივნისი (საქდესი).

რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის მოსკოვის [illegible] თბილისში. სურათზე: ანსამბლის სოლისტთა ჯგუფი. ცენტრში — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახ. მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. ო. დუნაევსკი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რკინიგზელთა ანსამბლის კონცერტი

9 ივნისს, თბილისის საოპერო თეატრში გაიმართა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის, ორდენოსანი კომპოზიტორის **ი. დუნაევსკის** ხელმძღვანელობით არსებულ რკინიგზელთა ანსამბლის დიდი კონცერტი. ამ კონცერტში რკინიგზელთა ანსამბლმა გამოავლინა თავისი შესანიშნავი გაწრთვნილობა, ცალკეული საცეკვაო და სასიმღერო ნომრების შესრულების მაღალი კულტურა და ოსტატობა.

კონცერტი დაიწყო საინტერესოდ მოფიქრებული პროლოგით, რომელსაც ანსამბლი მაღალი მხატვრული გემოვნებით და უნაკლოდ ასრულებს.

შემდეგ ანსამბლმა შეასრულა სხვადასხვა სიმღერები და ცეკვები. განსაკუთრებით კარგი იყო „სიმღერა ველადზე", „შორეული სადარაჯო", რუსული ხალხური საოხუნჯო კუპლეტები-გაშაირება — „მაკოცე, ნათლიდედავ" და ნაწყვეტები ი. დუნაევსკის ოპერეტიდან „ოქროს ველი". ოპერეტის ავტორს, მისთვის ჩვეული მაღალი ოსტატობით და მიმზიდველობით აქვს დამუშავებული ოპერეტის დუეტები, სოლოები და საგუნდო სიმღერები, განსაკუთრებული მოწონება გამოიწვია მაყურებლებში დუეტმა „გაუფრთხილდით სიყვარულს".

განსაკუთრებით კარგად ასრულებს ანსამბლი საცეკვაო ნომრებს. გარდა რუსული, უკრაინული, ბელორუსული და მოლდავური ცეკვებისა, ამ კონცერტზე ანსამბლმა შეასრულა ებრაული ხალხური სახასიათო ცეკვები, რამაც მაყურებლებში საყოველთაო მოწონება ჰპოვა.

მრავალფეროვანი და საინტერესო კონცერტის ბოლოს, ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს მაყურებლებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს. მათ მიესალმა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო ანსამბლის დელეგაცია. კომპოზიტორ ი. დუნაევსკისა და რკინიგზელთა ანსამბლის წევრებს გადასცეს თაიგულები.

კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო.

მასალები გორის ისტორიისათვის

გორის შესახებ უმდიდრესი ლიტერატურა არსებობს. გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც ამ უძველესი ქალაქის შესახებ დაცულია ქართველ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა თხზულებებში და საქართველოს მატიანეებში, შენიშვნები გორის შესახებ გვხვდება სომეხი და არაბი ისტორიკოსების (მაგ. მოსე ხორენელის), მოგზაურთა და მეცნიერთა — შარდენის, ვაგნერის, ტურნეფორის, რაანეჭის, ჰასტჰაუზენის, მარკო-პოლოს, კონტარინის, კლაპროტისა და სხვათა თხზულებებში.

ცნობები გორის შესახებ მოიპოვება რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ინგლისურ ლექსიკონებში, პერიოდულ გამოცემებში, სხვადასხვა სახელმწიფოების დიპლომატების მიმოწერაში, მემუარებში.

განსაკუთრებით მრავალია ცნობები გორის შესახებ მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც ამიერკავკასიაში გამოდიოდა.

ყველა ამ მასალის დაგროვებას და სისტემაში მოყვანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გორის ისტორიის შესწავლისათვის. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, სადაც თავს იყრის მასალა გორის შესახებ. გორის მუზეუმის დავალებით თბილისის კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ალიხანოვი დიდ მუშაობას ეწევა იმ მასალების შესაგროვებლად, რომლებიც გაფანტულია პერიოდულ გამოცემებში, ლექსიკონებში.

მთელი ეს მასალა გამოყენებულ იქნება მონოგრაფიისათვის გორის შესახებ, რომელსაც ამზადებს გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. (საქდესი).

რადიოგადაცემა დღეს

09.00 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 09.15 — კონცერტი რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებიდან; 10.30 — კონცერტი; 11.00 — გადაცემა ბავშვთათვის ციკლიდან: „სკოლის ცხოვრება"; 11.15 — საუბარი თემაზე: „მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ნახშირი"; 11.30 — ნაწყვეტები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან; 12.00 — თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.20 — კონცერტი; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 17.00 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.05 — გადაცემა ციკლიდან: „სსრ კავშირის ხალხთა მუსიკალური შემოქმედება"; 17.45 — გადაცემა პიონერ-მოსწავლეთათვის: „ძველი თბილისი"; 18.15 — კონცერტი თამარ წერეთლის შესრულებით; 19.30 — უკანასკნელი ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00 — უკანასკნელი ცნობები; 20.30 — საუბარი თემაზე: „აჭარის კურორტები"; 20.45 — გადაცემა ციკლიდან: „ლერმონტოვი მუსიკაში"; 21.15 — ლექცია თემაზე: „სახალხო-სამეურნეო აღრიცხვა და მისი მნიშვნელობა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისათვის ბრძოლაში"; 22.00 — უკანასკნელი ცნობები; 22.05 — კონცერტი; 23.00 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე; 23.30 — კონცერტი; 00.30 — უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

პროფკავშირულ-კომკავშირული მასობრივი კროსი

შეიქმნა რესპუბლიკური კომისია

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკავშირო პროფსაბჭოს და საკ. ალკკ ცკას დადგენილება 15-30 ივნისამდე პროფკავშირული, კომკავშირული მასობრივი კროსის ჩატარების შესახებ.

შეიქმნა რესპუბლიკური კომისია რომელშიაც შევიდნენ: კომკავშირის ცკას და თბილისის კომიტეტის, ფიზკულტურის კომიტეტის, საქ. პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისა და თავისუფალ სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. კომისიას დაევალა უშუალო ხელმძღვანელობა კროსის მომზადებას და ჩატარებას. ასეთივე კომისიები ჩამოყალიბდა საქართველოს ყველა რაიონში. (საქდესი).

ფოლკლორული კომისია

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან ჩამოყალიბდა ფოლკლორული კომისია, რომელშიც შედიან: ი. მოსაშვილი, გ. ლეონიძე, გ. აბაშიძე, გ. კალანდაძე და ბ. ჩხეიძე. ეს კომისია ხელმძღვანელობას გაუწევს ფოლკლორის შეგროვებასა და დამუშავებას, გამოავლენს სახალხო მთქმელებსა და პოეტებს და მათთან სისტემატურ მუშაობას ჩაატარებს.

კომისია ამ მოკლე ხანში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მიავლენს ექსპედიციებს ფოლკლორის შესაგროვებლად. (საქდესი).

253 სპეციალისტი

მიმდინარე თვეში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტს დაამთავრებს და სოციალისტური ტრანსპორტის კომანდირთა რიგებს შეემატება 253 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი — სხვადასხვა დარგის ინჟინრები. გზათა და საგზაო მეურნეობის ფაკულტეტს ამთავრებს 129 კაცი. საორთქლმავლო ფაკულტეტს—52, საექსპლუატაციო ფაკულტეტს—72 კაცი.

ეს ინსტიტუტის მეათე გამოშვებაა. დიპლომანტი სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან კონსულტაციებით. დიპლომანტთა ნაწილმა ერთი თვით ადრე დაამთავრა სადიპლომო დავალების დამუშავება და 6 ივნისს წარსდგა სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე. წარმატებით დაიცვეს სადიპლომო ნაშრომი ნ. რობაქიძემ, ქ. მანუკოვმა, ა. კობახიძემ და ა. ხვადაგიანმა.

253-ვე ახლადკურსდამთავრებული ინჟინერი განაწილებული იქნება გზათა სახალხო კომისარიატის მიერ სამუშაოზე. (საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის, 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რუსული სექტორის I კურსის მორიგი მეცადინეობა.

ლექტორები: პროფ. **ბაქრაძე** და დოც. **ლუდვიგოვი.**

12 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ამხ. **ა. ნიკიტენკო** წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე: **„სტალინური მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ"** (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

ბანაკი შოვში

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში წელს პირველად განვითარდება მასობრივი ტურიზმი და ალპინიზმი, რაც იქნება სკოლებში ფიზკულტურული და სამხედრო მუშაობის შემადგენელი ნაწილი.

ამ ზაფხულში მოამზადებენ სასკოლო ტურიზმისა და ალპინიზმის მუშაკთა კადრებს. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ფიზკულტურის ინსპექცია შოვის რაიონში აწყობს ბანაკს, სადაც ტურიზმისა და ალპინიზმის საქმეს ასწავლიან 200 კაცს — უმთავრესად, რესპუბლიკის ყველა რაიონიდან გაგზავნილ ფიზკულტურის მასწავლებლებსა და პიონერ-ხელმძღვანელებს.

ბანაკი 1 ივლისს გაიხსნება და 15 აგვისტომდე იმუშავებს. თვითეული ცვლის მეცადინეობა 2 კვირას გაგრძელდება. (საქდესი).

დღეს გაიხსნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო სესია

დღეს, 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ფურცელაძის ქ. № 1 (მუზეუმის სალექციო დარბაზში) გაიხსნება საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია. სესიის მუშაობა გასტანს სამ დღეს და დამთავრდება 13 ივნისს საღამოს. დასწრება — შესაშვები ბილეთებით, რომელთაც გასცემენ სხდომების დაწყების წინ მუზეუმის სალექციო დარბაზში.

ხვალ, 12 ივნისს სესიის სხდომა დაიწყება დილის 10 საათზე.

ლექციები

11 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 21) საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ატარებს მოსკოვის სალექციო ბიუროს ლექტორის, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. **გ. ი. გოიანის** ლექციას, თემა: **„ხელოვნება და სინამდვილე"** (სოციალისტური რეალიზმის შესახებ).

ბილეთები იყიდება სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

11 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ., მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ., № 3) შესდგება პროფ. **ათაბეკოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საწარმოო ძალთა განლაგება სსრ კავშირში".**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) **ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3303002, გაცემული ვასილ ნიკოს-ძე **ბაკურაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3080498, გაცემული ვლადიმერ პავლეს-ძე **პელიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1676969, გაცემული რუბენ სიკოს-ძე **ჯინჭარაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3081752, გაცემული გაიანე ფარნაოზის ასულ **გვაძაბიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „ცისფერი ხალიჩა" (მე-36 აბ.).

კინოებში: **რუსთაველის სახ.,** ოქტომბერი, დამკვრელი, **კომკავშირელი** (საზაფხულო), **ლუქსემბურგის სახ.** — „სიმღერა სიყვარულზე", **კომკავშირელი** (ზამთრის), **სპარტაკი, კომინტერნი, 26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ფრონტელი მეგობარი ქალები". **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — „უკანასკნელი ბანაკი", **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „მესაზღვრეები" და „ძაღლი ომში", **განთიადი** — „პაპუკი ტაიგიდან", **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — „საიდუმლო კუნძული", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ოქროს მთები". **დამკვრელი** (დღისით) — „სალავათ იულაევი", **სპარტაკი** — „მეოთხე პერისკოპი", **26 კომ. სახ.** — „სიხარულის ქვეყანა".

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
გ. ჯიბლაძე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

11 ივნისს
1 აბ. მე-20 წარმ.
პიკის ქალი
ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების უსსრ სახ. არტ. ი. ი. ვილიკოვსკაიას და უსსრ დამს. არტ. ხ. ნ. დანჩენკოს მონაწილეობით.

12 ივნისს
ქეთო და კოტე

13 ივნისს
სამსონ და დალილა

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი

11 ივნისს
ჭიქა წყალი

12 ივნისს
გიორგი სააკაძე

13 ივნისს
უდანაშაულო დამნაშავეენი

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი

11 ივნისს
მარგარიტა გოტიე

12 ივნისს
მე-5 აბ. მე-8 წარმ.
რუი ბლაზ

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

ექიმი ნოე კანდელაკი
შინაგანი სნეულებანი
ავადმყოფების მიღება დილის 9-დან 1 საათამდე, საღ. 5-დან 7 საათამდე.
ვარდისუბნის ჩიხი № 2. 12170

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო)

11 ივნისიდან ყოველდღე სამი სიმონსი
საჰაერო ატრაქციონი ფრენა 25-მეტრიანი ანძიდან
15 ივნისს დიდი საღამო-კონცერტი
ესტრადის საკავშირო კონკურსის ლაურეატის რსფს. დამს. არტ. ორდენოსან **ვახო გოძიაშვილის** მონაწილეობით ჯაზ-ორკესტრის თანხლებით. დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.
2—1

სახესტრადის საზაფხულო თეატრი,
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. № 3-55-24

12 და 13 ივნისს
შესდგება ესტრადის მსახიობთა სრულიად-საკავშირო მე-2 კონკურსის
პირველი ტური
კონკურსში მონაწილეობს 50 მსახიობი.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება.
დაწვრილებით აფიშებში. 2—1

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის კადრების მომზადების განყოფილება
აცხადებს მიღებას I კურსზე
რკინიგზის ტრანსპორტის შემდეგ ტექნიკუმებში:

ა) **თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ტექნიკუმი** (თბილისი, ნინოშვილის ქუჩა, № 13) ტექნიკუმში ორი სექტორია—ქართული და რუსული, შემდეგი სპეციალობით:

1. **მოძრაობა და სატვირთო მუშაობა.**
2. **ს. ც. ბ. სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება.**
3. **სალიანდაგო მეურნეობა.**

ბ) **ბათუმის რკ. გზის ტექნიკუმი** (ბათუმი, 9 მარტის ქუჩა, № 10) ქართულ სექტორზე, ორთქლმავლის მეურნეობის სპეციალობაზე.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის 7 კლასი. ფრიადოსნები ტექნიკუმის 1 კურსზე მიიღებიან უგამოცდოდ.

განცხადების მიღება იწარმოებს ა. წ. 10 აგვისტომდე. განცხადება მიიღება ტექნიკუმის უფროსის სახელზე პირადად ან გამოიგზავნება ფოსტით შემდეგი საბუთების თანდართვით: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, განათლების მოწმობა (დედანი), სამი შემოწმებული ფოტოსურათი, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად). მისაღები გამოცდები იწარმოებს 7 კლასის ფარგლებში 15 აგვისტოდან 23 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. სსრკ კონსტიტუცია, 2. რუსული ენა (ზეპირი და წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი და წერა), 4. ფიზიკა, 5. ქართული ენა (ზეპირი და წერა ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის).

ტექნიკუმში მიღებულ ფრიადოსნებს და აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც გამოცდებზე მიიღებენ ორ მესამედ „ფრიადს" და ერთ მესამედს არანაკლებ „კარგი" შეფასებისა, დაენიშნებათ სტიპენდია.

ხაზიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყება 1941 წლ. 1 სექტემბერს.
1052

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი
აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1941/42 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ენისა და ლიტერატურის (ქართულ და რუსულ სექტორებზე), 2. ისტორიის, 3. ფიზიკა-მათემატიკის, 4. საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიისა და 5. ფიზკულტურის.

ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, ინსტიტუტის კანცელარიაში, ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღისა 10-დ.6 4 საათამდე.

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს შემსვლელის მიერ არჩეული ფაკულტეტი.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო ინსტიტუტში ჩარიცხვა 20-დან 25 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ საზკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტს აქვს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინა და სასადილო.

მიღების წესებისა და პირობების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში.

მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ. № 34. ტელ. № 9-37, 3-13.
244 **დირექცია.**

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა აცხადებს,

რომ 1941 წლის 1 ივლისს, საღამოს 8 საათზე ინსტიტუტის შენობაში (ლერმონტოვის ქ. № 3) სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამავე ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **არამ გიორგის-ძე მარტიროსოვი** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პილ-ეტრატის თადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი".**

ოფიციალური ოპონენტები: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ა. შანიძე,** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ილ. აბულაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლერმონტოვის ქ., № 3).
104 **დირექცია.**

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
მიკრობიოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე.
განცხადების შემოტანის ვადაა ოცი დღე გამოცხადების დღიდან.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი ავტობიოგრაფია.
2. კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი.
3. სამეცნიერო და საზოგადოებრივი დახასიათება.
4. მეცნიერული შრომები (მეცნიერულ შრომათა სია და მათი ამონაბეჭდი).
5. მეცნიერულ შრომათა რეცენზიები.
6. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების ცნობა.

ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექცია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ა) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე (ფიზიკის ახალი აუდიტორია, მარის ქუჩა № 3).

დ. მ. ჩილვინაძე—ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Дилатометрическое исследование многокомпонентных сплавов".**

ოფიციალური ოპონენტები: დოცენტი, მეცნ. კანდიდატი მ. მ. მირიანაშვილი, დოცენტი, მეცნ. კანდიდატი ნ. კ. კალაბეგოვი.

ბ) ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 1 ივლისს, საღამოს 8 საათზე (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1, აუდ. № 86)

გ. რ. გაჩეჩილაძე—ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„თანამედროვე ინგლისური ბურჟუაზიული რომანის ძირითადი საკითხები გოლსუორსის ფორსაიტების ქრონიკაში".**

ოფიციალური ოპონენტები: დოც. ე. დ. ტატიშვილი, დოც. მეცნ. კანდიდატი—ნ. ურუშაძე.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **დ. ჟღენტი**
103

მშობლები ვერა, ვანო, დები შუშანა, ზინა, მარო, ანეტა, ძმა გიგო, სიძეები კ. კიკნაძე, ა. გორგაძე, ბიძა თალხან კვინიკაძე ოჯახით იუწყებიან **ილუხა ივანეს-ძე კვინიკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI ს. ხიმიანაში (ხარაგოული).

საქ. სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების და საბავშვო სახლების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და თანამშრომლები იუწყებიან **ილუხა ივანეს-ძე კვინიკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI ს. ხიმიანაში. 12233

კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები იუწყებიან **არეთი ფილიპე ფილაქტეს-ასულ ხუციშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VI 6 ს. კოლხიდის, 23, კუბოს საჩაფლავო. 12229

და მანანი, დისშვილები ნინო, სონია, ვერო, საშიკო, მიშა ბახტაძეები, მარიკო, შალიკო, ლიდა, გოგლა კვინიკაძეები იუწყებიან **ნატალია ზრიგულის-ასულ ხატირიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/VI 8 ს. გამოსვენება 12/VI 6½ ს. მალაქნის, 44. 12229

რიგით გადაუხდი იუწყება [illegible] ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **შალიკო თედორეს-ძე საბეკიას** გარდაცვალებას. 12230

ძმები ესილ და მიხეილ პაპიტაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ელისაბედ ერმალოზის-ასულ პაპიტაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VI, 6½ ს. ეორესის, 54. კუბოს საჩაფლავო. 12231

ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოს ქირურგიული და ორთოპედოლოგიური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ანა გრიგოლის-ასულ ბუზუნავას** გარდაცვალებას. 12234

მარიამ ჯავახიშვილი შვილებით თამრიკოთი და ცისანათი, ნინო და დათა აზარაშვილები, ქეთო და ბიძინა აბულაძეები იუწყებიან **თამარ თეთრაძე-მთვარელიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VI თელავში. 12235

გიორგი მთვარელიშვილი შვილებით ელისოთი, გულიკოთი, თინიკოთი, სიძით ვიქტორ ხოჩიაშვილით იუწყებიან **თამარ მთვარელიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI ქ. თელავში. 246

ზოოვეტინსტიტუტის თანამშრომლები ამირეჯიბი, ჯიბლაძე, ბაგრატიშვილი, ხიზილი, თოხაძე, ჭანტურიძე, დიდია, ნიკურაძე, ჩიკვაიძე, ჭანიშვილი, ქუთელია, ნიკოლაიშვილი იუწყებიან **ანა გიორგის-ასულ ბუზუნავას** გარდაცვალებას. 12236

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილის — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეოს — 3-73-40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედროსი — 3-57-61; წერილების — 3-73-24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65; გამომცემლობის — 3-51-81; სტამბის დირექტორის — 3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28.

უე 18238